ალია

~~1 ლ~~ 70 თ

N39/2969/ 14-17 მარტი 2014 წ

ფასი 70 თ

ორშაბათი ქრონიკა · სამშაბათი ალია · ოთხშაბათი ალია · ხუთშაბათი ალია · პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან

## რის აღიარებით დაუშვა კატასტროფული შეცდომა „ოცნების“ ხელისუფლებამ



### აი, ახლა კი დაიჭირენ...

დათა ახალაიასა და მეგის ქარდავას ბრალი დაუმძიმეს



### ვინ არის „ბოროტა“ და რატომ აბუნტდენ პატიმრები?



### რატომ გააუქმა სააკაშვილმა გადადგომამდე ატომური სადგურის მშენებლობის აკრძალვა?



### უკრაინის პატრიარქი დასავლეთს მიმართავს



# რას აპროტესტებენ სტუდენტები და რაზე სთხოვენ პასუხს ირაკლი ღარიბაშვილს?




## რას ამბობენ კულუარებში ოდიშარიას გადადგომაზე და ვინ განიხილება მის შემცვლელად?



## რა საგანგებო დავალება მისცა სააკაშვილმა გივი თარგამაძეს უკრაინიდან?



ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## უსუფაშვილმა პრეზიდენტისა და პრემიერის წარმომადგენლები დაიბარა



„პრეზიდენტისა და მთავრობის წარმომადგენლებს გადაეცით, ბიურო ელოდებათ“, – ეს განცხადება პარლამენტის ბიუროს სხდომაზე პარლამენტის სპიკერმა დავით უსუფაშვილმა მას შემდეგ გააკეთა, რაც გაიგო, რომ ბიუროს პრეზიდენტისა და მთავრობის საპარლამენტო მდივნები არ ესწრებოდნენ.

მთავრობის მიერ პარლამენტში ინიცირებული ერთ-ერთი კანონპროექტის განხილვის პროცედურების განსაზღვრის დროს, დავით უსუფაშვილი მთავრობის პოზიციით დაინტერესდა, მაგრამ მთავრობის საპარლამენტო მდივანი ბიუროს სხდომას არ ესწრებოდა. ამის შემდეგ უსუფაშვილი დაინტერესდა, სად იმყოფებოდა პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი, მაგრამ პარლამენტის ბიუროს სხდომას არც ის ესწრებოდა. პარლამენტის აპარატის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ისინი ინფორმირებული იყვნენ ბიუროს სხდომის თბილისში გამართვის შესახებ. „გადაეცით, რომ ბიურო მათ ელოდება“, – განაცხადა უსუფაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## ისრაელთან უვიზო მიმოსვლა დაიწყო

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, ცოტა ხნის წინ ირაკლი ღარიბაშვილი ისრაელის შინაგან საქმეთა მინისტრ გიდეონ საარს ტელეფონით ესაუბრა. საარმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს აცნობა, რომ გადაწყვეტილება საქართველოსა და ისრაელს შორის უვიზო მიმოსვლის რეჟიმის დაჩქარებული წესით ამოქმედების შესახებ ძალაშია.

„მივესალმები ამ გადაწყვეტილებას და მადლობას ვუხდი ისრაელის ხელისუფლებას ასეთი ნაბიჯისთვის. ვულოცავ ქართველ და ებრაელ ხალხებს ამ მნიშვნელოვან სიახლეს. დარწმუნებული ვარ, ეს გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს ისრაელსა და საქართველოს შორის ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებას“, – განაცხადა ღარიბაშვილმა. (ფრონტნიუსი)

## „დოქტორანტურის დაფინანსებაზე მუშაობა მიმდინარეობს“



განათლებისა და მეცნიერების მინისტრ თამარ სანიკიძე პრემიერ-მინისტრის განცხადებას ეხმაურება, რომლის თანახმად, დოქტორანტურისა და მაგისტრატურის დაფინანსების საკითხი განათლების სამინისტრომ უნდა შეისწავლოს.

„დოქტორანტების დაფინანსებაზე 2013 წელს გავაკეთეთ ძალიან ბევრი კარგი პროგრამა, რომლითაც კმაყოფილები ვართ. დავაფინანსეთ სულ 135 სტუდენტი. ამ დოქტორანტებს საშუალება აქვთ, დაიფინანსონ როგორც სწავლება, ასევე სტაჟირება, ტექნიკის შეძენა და ეს ძალიან კარგია. თემა გლობალურია და მის მოწესრიგებაზე მუშაობა მიმდინარეობს“. – განაცხადა მინისტრმა.

იგი სტატუსშეჩერებული სტუდენტების საკითხსაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ანალიზი უკვე ჩატარებულია.

„წლიდან წლამდე რაოდენობა დიდად განსხვავებული არ არის და როცა ვსაუბრობთ სტატუსშეჩერებულ სტუდენტებზე, არავინ ამახვილებს ყურადღებას აღდგენილებზე. თუ დარჩენილი სტუდენტების რაოდებობას შევადარებთ, ეს საგანგაშო ციფრი ნამდვილად არ არის“. – განაცხადა სანიკიძემ. (ფრონტნიუსი)

## თეა წულუკიანი მოსამართლეებს ბოდიშის მოხდით უნდა ელაპარაკოსო




უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი იუსტიციის მინისტრის განცხადებებს სასამართლოსადმი შეურაცხყოფად აფასებს.

„იუსტიციის მინისტრმა აღნიშნა, თითქოს უზენაესი სასამართლოს ფუნქცია მთელი ამ წლების განმავლობაში იყო „კოპი ფეისტის“ წესით მუშაობა და ამ წესით უზენაესი სასამართლო დაუშვებლად ტოვებდა საქმეებს და საერთოდ არ აინტერესებდა ის დარღვევები, რა ხდებოდა პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებში. ვფიქრობ, ასეთი უპატივცემულობა და შეურაცხყოფა უზენაესი სასამართლოს მიმართ და საერთოდ სასამართლო სისტემის მიმართ, ერთხელ და სამუდამოდ, უნდა დამთავრდეს. ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი და პირადად მე, უზენაესი სასამართლოს პლენუმის სახელით ვაცხადებ, რომ თითოეულ ადამიანს, განსაკუთრებით პოლიტიკური ხელისუფლების წარმომადგენელს, პირველ რიგში, იუსტიციის მინისტრს პასუხისმგებლობა უნდა ჰქონდეს. ეს ადამიანი ბოდიშის მოხდით და პატივისცემით უნდა ელაპარაკოს უზენაეს სასამართლოს და მოსამართლეებს“, – განაცხადა კუბლაშვილმა.

მან იმედი გამოთქვა, რომ პოლიტიკური ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან, სასამართლოსადმი მსგავსი შინაარსის განცხადებები მომავალში აღარ განმეორდება. (ინტერპრესნიუსი)

## რას ამბობენ კულუარებში ოდიშარიას გადადგომაზე და ვინ განიხილება მის შემცვლელად?

მშვიდობით, გურამ!!! 13 მარტს, ჩვენ დავემშვიდობეთ, პოეტს, პროზაიკოსს, დრამატურგს, მთარგმნელს, სცენარისტს, მაგრამ კულტურის არაკვალიფიციურ მინისტრს – გურამ ოდიშარიას...

მახსენდება მისი პიესა „ზღვა რომელიც შორია“, ჰოდა, მისგან კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრობაც ასეთივე შორია. მინისტრის მოვალეობას ამ დროისთვის ოდიშარიას მოადგილე ალექსანდრე მარგიშვილი ასრულებს, რადგან გურამ ოდიშარია ერთთვიან შვებულებაში გავიდა(?!). სამინისტროში არ ადასტურებენ გავრცელებულ ინფორმაციას, რომ ოდიშარია თანამდებობიდან გადადგა, ერთი თვის შემდეგ შვებულებიდან გამოვა და უწყებაში მინისტრის პოსტზე დაბრუნდებაო.

უპასუხისმგებლობის ზეიმი ხართ, ბატონო გურამ, თქვენ თუ იკადრებთ და სამინისტროში დაბრუნდებით, აი, მსოფლიოს უკულტუროთა ჩემპიონატზე გაგგზავნით. როცა აქციას აქციაზე გიწყობენ და პრობლემების მოგვარებას თქვენ გთხოვენ, როცა ამდენი პრეტენზიაა თქვენი მოადგილის, მანანა ბერიკაშვილის მიმართ, რომელიც თურმე დე ფაქტო მინისტრი ყოფილა, როდესაც მას ბრალდებებს უყენებენ, რომ ერთპიროვნულად ნიშნავს კადრებს, მალავს პროკურატურაში გადასაგზავნ დოკუმენტებს, გაფიცულები არიან კინორეჟისორები და თქვენთან შეხვედრას ითხოვენ, ამ ბაქანალიის დროს სად გარბიხართ? გადამდგარიყავით მაინც, უფრო დაგიფასებდნენ ამას. ომიდან გაქცევა ლაჩრებისა და მოღალატეების საქმეა, ჯერ თქვენი არეული დაგელაგებინათ და მერე გეთქვათ, „ადიოს ამიგოს“! სულ შვებულებაში არ ხართ?!

კულტურის მინისტრმა სამინისტროსთვის ყავის შეძენით, აბაზანაში სურათის გადაღებითა და ევროპაში ძვირადღირებულ სასტუმროში „გრიალით“ დაგვამახსოვრეთ თავი. „ლარიჭამია“ ხადურს დიდად არ ჩამოუვარდებით ბიუჯეტყლაპია მინისტრო. ისე კი, ამ უნახავებმა დალუპეს ქვეყანა, ჯერ იყო და სააკაშვილმა გადაგვძოვა, ახლა კი ოცნებაახდენილებმა. ნუ დაგვღალეთ, ბატონებო, ბაყაყს ხალიჩაზე რომ დასვამ, ის მაინც ჭაობში გადახტება, ჰოდა, მიბრძანდით, სანამ უკულტუროდ არ დაგისტვენთ ხალხი, ბატონო გურამ.

და მაინც, გადადგება თუ არა ოდიშარია? როგორც სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენი“ წყაროზე დაყრდნობით წერს, მინისტრმა თანამდებობიდან გადადგომის უმტკივნეულო ფორმა აირჩია.

„ოდიშარიამ დაწერა განცხადება, რომ ითხოვს შვებულებაში გასვლას, რადგან გადაიღალა. განცხადება რეგისტრირებულია კანცელარიაში. საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ინფორმირებულია, რომ გურამ ოდიშარია კუთვნილი შვებულებიდან პოსტზე არ დაბრუნდება“.

ვინ განიხილება კულტურის მინისტრის პოსტზე?

ამ ეტაპზე კულტურის მინისტრის თანამდებობაზე პოეტების – რატი ამაღლობელისა და დავით მაღრაძის კანდიდატურები განიხილება, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება პრემიერ ღარიბაშვილის იმის შესახებ, ვინ შეცვლის გურამ ოდიშარიას, ამ დრომდე არ მიულია, – წერს „ჯი-ეიჩ-ენი“. თუკი ამ პოსტს



დავით მაღრაძე დაიკავებს, მისთვის ეს ამ პოსტზე მეორედ მოსვლა იქნება, შეგახსენებთ, რომ შევარდნაძის ხელისუფლების დროს, მაღრაძე მცირე ხნით იყო კულტურის მინისტრი და პროტესტის ნიშნად გადადგა, რადგან საკუთარი გეგმების განხორციელების საშუალებას არ აძლევდნენ. როცა ივანიშვილი ხელისუფლებაში მოვიდა, ნობელის პრემიის ლაურეატს დავით მაღრაძეს ივანიშვილი კულტურის მინისტრის პოსტს სთავაზობდა, თუმცა მაშინ მაღრაძე ამ შეთავაზებას არ დასთანხმდა. ახლა, გადახედა თუ არა თავის პოზიციებს, უცნობია.

რაც შეეხება ამაღლობელის კანდიდატურას, კულუარებში მისი კანდიდატურის შესახებ აქტიურად საუბრობენ, თუმცა სანამ გურამი შვებულებაში, ამ თემებზე საუბარი ნაადრევია. თუკი ოდიშარია წავა, მაშინ ის იქნება მეორე მინისტრი ივანიშვილის მიერ დაკომპლექტებულ მთავრობაში, ვინც პოსტს თავისი ნებით დატოვებს. შეგახსენებთ, სოფლის მეურნეობის ყოფილმა მინისტრმა დავით კირვალიძემ ე.წ. „ტრაქტორების საქმის“ გამო თანამდებობა საკუთარი ნებით დატოვა.

გურამ ოდიშარიამ კი შემოთვალა, მანამდე არ აგიდგათ გვერდები, მე რომ იმ კაბინეტიდან გამიტანოთ, ბევრს გავისტუმრებ გადადგომამდეო. აი, რას აცხადებს ოდიშარია, ინტერნეტპორტალ „კვირასთან“ საუბარში:

„არსადაც არ წავსულვარ. წავედი, რომ რამდენიმე დღით დავისვენო. შარშან არ მისარგებლია ჩემი შვებულებით, შარშანწინ არჩევნები იყო, მერე უწყვეტად ვმუშაობდით და ახლა გავედი, რომ ცოტა დავისვენო. ყველაფერი რიგზეა. ბულაჩაურში ვარ და ხვალ თბილისში ვიქნები. მე ერთთვიანი შვებულება მეკუთვნოდა, 11 აპრილისთვის მიწევს სამსახურში გასვლა, მაგრამ შესაძლოა, ადრე გავიდე. ერთი ათი დღე მაინც მინდა, რომ დავისვენო, უნდა გამოვიძინო, თორემ ღამის 12 საათამდე სამსახურში ვარ ხოლმე. ვუთხარი პრემიერს, რომ ცოტა გადაღლილი ვარ, ცოტა ჯანმრთელობასაც უნდა მივხედო - ფეხი და, მეგობრულად გეტყვით, ბოლო დროს ცოტა ჭარბი წონაც მაწუხებს, ვერ მოვიცალე ჩემი თავისთვის. ჰოდა, სანამ არ დავიკლებ წონაში, არ გავალ სამსახურში. კულტურის მინისტრი ხომ უნდა ჰგავდეს კულტურის მინისტრს? მინისტრი უნდა იყოს მშვიდად, რომ ხელი შეაშველოს ქვეყნის სიმშვიდესა და წინსვლას. როცა მინისტრი დაძაბულია, საქმეც არ გამოდის“.

უგრძვნია ბატონ გურამს, კულტურის მინისტრი უნდა ჰგავდეს კულტურის მინისტრს, მაგრამ, როცა მინისტრობას გთავაზობდნენ, მაშინ სარკე არ გქონდათ? თუ მინისტრობამ გაგასუქათ, რას ჭამდით ამდენს, დევნილებისთვის გაგეზიარებინათ ლუკმა და თქვენც ფორმაში იქნებოდით, ისინიც დაპურებულები გეყოლებოდათ. ისე, ბატონო გურამ, თქვენი სამინისტროსა და კულტურის ბედი მართლად რომ გაწუხებდეთ, ნერვიულობით აქამდე კაი გვარიანი გამხდარი იქნებოდით.

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## შსს-მ საბრძოლო მასალა ამოიღო



შსს-ს ცნობით, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად, ბაღდათის რაიონის სოფელ პირველ ობჩაში 1984 დაბადებული გიგა მ. საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის 134 ცალი საბრძოლო ვაზნა და „ერ-გე-დე 5“-ის ტიპის 1 ცალი ხელყუმბარა ამოიღეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. (ინტერპრესნიუსი)

## ბურჯანაძე პრემიერს საკუთარ კადრებს სთავაზობს

„დემოკრატიული მოძრაობა“ პრემიერს სახელმწიფო უწყებებში დასასაქმებლად საკუთარ კადრებს სთავაზობს.

„როგორც ღარიბაშვილმა აღნიშნა, სახელმწიფო უწყებები გადაჭედილია არაკომპეტენტური ხალხით და ის სანთლით ეძებს კვალიფიციურ კადრებს. „დემოკრატიულ მოძრაობას“ არაერთხელ გაუკეთებია განცხადება და აღუნიშნავს, რომ სახელმწიფო უწყებებში დღემდე მუშაობენ არაკვალიფიციური კადრები, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ დროს დანაშაულებრივი რეჟიმის დავალებებს ასრულებდნენ და ხელისუფლების შეცვლის შემდეგ კვლავ აგრძელებენ საბოტაჟს ახალი მთავრობის წინააღმდეგ. ჩვენ მივესალმებით ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივას სახელმწიფო უწყებების კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტების თაობაზე. საქართველოში მართლაც ძალიან ბევრი კვალიფიციური კადრია, მათ შორის „დემოკრატიული მოძრაობაშიც“ და ჩვენ გამოთქვამთ მზადყოფნას, შევთავაზოთ პრემიერ-მინისტრს პროფესიონალი და კომპეტენტური ადამიანები, ჩვენი ქვეყნის ინტერესების სამსახურში“, – ნათქვამია პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## გამოცხადებული ამნისტიით 1200-ზე მეტმა მოქალაქემ ისარგებლა

გაყალბებულ დოკუმენტებთან დაკავშირებით გამოცხადებული ამნისტიით 1200-ზე მეტმა მოქალაქემ ისარგებლა. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ცნობით, ამნისტია ვრცელდება იმ პირებზე, რომელთაც გააყალბეს პირადი მონაცემები 2009 წლის 1-ელ იანვრამდე, აგრეთვე, იმ პირებზე, რომლებმაც გაყალბებული დოკუმენტებით ან მისი მონაცემებით ისარგებლეს.

სააგენტოს ინფორმაციით, არის შემთხვევები, როდესაც მოქალაქე დოკუმენტაციის მისაღებად მიმართავს იუსტიციის სახლს ისე, რომ აღარც კი ახსოვს, როდის და რა მიზნით გააყალბა ესა თუ ის მონაცემი. პირადი მონაცემების თვითნებურად გადასწორება საქართველოს კანონმდებლობით დასჯადი ქმედებაა, ითვალისწინებს ფულად ჯარიმას ან 3-წლამდე თავისუფლების აღკვეთას. ამიტომ იუსტიციის სამინისტროს სერვისების განვითარების სააგენტო მოუწოდებს ყველა მოქალაქეს, ისარგებლონ ამნისტიით და ყოველგვარი სასჯელის ან ჯარიმის გარეშე შეასწორონ გაყალბებული მონაცემები.

იმისთვის, რომ პირმა ისარგებლოს ამნისტიით, მან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით განცხადებით უნდა მიმართოს იუსტიციის სამინისტროს „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას. იმ შემთხვევაში, თუ პირი ფლობს დევნილის ყალბ მოწმობას, ამავე ვადაში მან განცხადებით უნდა მიმართოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს. თუ პირი უკვე ცნობილია ბრალდებულად, ის თავისუფლდება შესაბამისი ორგანოებისთვის განცხადებით მიმართვის ვალდებულებისგან და მას ამნისტია პროკურორისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე შეეხება. (ინტერპრესნიუსი)




# რას აპროტესტებენ სტუდენტები და რაზე სთხოვენ პასუხს ირაკლი ღარიბაშვილს?

პრემიერ-მინისტრი 2 საათის მანძილზე პასუხობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების შეკითხვებს.

31 წლის პრემიერ-მინისტრმა ამ უნივერსიტეტის შენობიდან არც ისე დიდი ხნის წინ გამოდგა ფეხი, მან უპირატესობა სტუდენტებთან შეხვედრას მიანიჭა და პროფესორებთან აუდიენცია მხოლოდ ამის შემდეგ მოხდება. სხვათა შორის, ის გაცილებით ფრთხილი და მოზომილი იყო სტუდენტებთან შეხვედრისას, ვიდრე ჟურნალისტებთან პირველი პრესკონფერენციის დროს. 22 000 სტუდენტიდან, მას, ცხადია, ყველა ვერ შეხვდა, უნივერსიტეტის რექტორმა ლადო პაპავამ კიდეც თქვა, ძალიან ბევრ სტუდენტს დასწყდა გული, მაგრამ 22 000 სტუდენტს ამ დარბაზში ვერ დავტევდით, მაშინ შეხვედრა სტადიონზე უნდა გაგვემართაო. პრემიერის თხოვნა იყო, რომ მაქსიმალურად მრავალფეროვანი აუდიტორია ყოფილიყო. „აუდიტორია თვითონ სტუდენტებმა დააკომპლექტეს, რექტორატი ამ საკითხში პრინციპულად არ ჩაერია“, – აცხადებს ლადო პაპავა.

რას აპროტესტებენ სტუდენტები და რაზე სთხოვენ პასუხს ირაკლი ღარიბაშვილს?

ეკონომისტმა ირაკლი მურცხვალაძემ პრემიერს მიმართა, რომ სახელმწიფო უწყებები გადატენილია არაკომპეტენტური ხალხით. სტუდენტმა ირაკლი ღარიბაშვილს ჰკითხა, როგორ დაეხმარება მას მიზნის მიღწევაში ის ხალხი, ვინც კომპეტენტური არ არის? მურცხვალაძის კითხვა, მთელი ქვეყნის კითხვაა და დროულიც. პრემიერის პასუხიდან შევიტყვეთ, რომ ეს თემა მასაც აწუხებს: „მე ვიცი, რომ ძალიან ბევრი არაკომპეტენტური ადამიანია სამინისტროებში და ვიცი, რომ ეს საკითხი მწვავედ დგას. თუმცა, ეს ერთ დღეში ვერ მოგვარდება და ამას სჭირდება თანმიმდევრულობა. ეტაპობრივად უნდა მოხდეს ჩანაცვლება და სამინისტროებში ფორსირებულად უნდა შევიდნენ სტაჟიორები. როდესაც ნიჭიერი ადამიანი შევა სამინისტროში, მას კონკურენციას ვერ გაუწევენ და გამოჩნდება, ვინ არის არაკომპეტენტური. სანთლით ვეძებ კვალიციფიციურ კადრებს. საქართველოში ძალიან ჭირს კვალიფიციური კადრი“.

პრემიერო, ვერ დაგეთანხმებით, რომ საქართველოში კვალიფიციური კადრები ჭირს, ძალიან კარგია, როცა სტუდენტებს აძლევთ ფორას და მოტივაციას სტაჟიორობიდან იქცნენ ჩინოვნიკებად, მაგრამ რა უნდა ქნან მათ, ვინც მთელი ცხოვრება სწავლა-განათლებას მოანდომა, ვინც პროფესიონალიზმის პიკში არიან და ხშირად მათ კარს ცხვირწინ უჯახუნებენ, შენი ადგილი არ არისო... ბატონო ირაკლი, თავად იხსენებთ იმ დროს, როცა საფრანგეთიდან დაბრუნების შემდეგ არჩევანის წინაშე დადექით – ბიძინა ივანიშვილთან დაგეწყოთ მუშაობა თუ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში. დღეს ფიქრობთ, რომ სწორი ნაბიჯი გადადგით, რომ არჩევანი ბიძინა ივანიშვილზე გააკეთეთ, ამ თქვენს წინადადებას თუ შემოვაბრუნებთ, გამოდის, რომ „ნაციონალების“ დროს მუშაობის დაწყების მეტი შანსი და ალტერნატივა იყო. იცით, რა არ მესმის? 9 წელი ადამიანებს სააკაშვილის ტყვიაზე ჰქონდათ შუბლი მიშვერილი, შიშველი ხელებით იბრძოდნენ, ეს ის ხალხია, ვის რუტინული ბრძოლის ფასადაც „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში და დღეს ისინი მშივრები კვდებიან, მაშინ როცა „ნაცების“ მეხოტბეები თანამდე-

*გაგრძელება მეოთხე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ბათუმის სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობა დააკმაყოფილა



ბათუმის საქალაქო სასამართლომ განიხილა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის შუამდგომლობა ბრალდებულების – გურამ ჭალალიძისა და გოჩა ფაშალიშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე.

უზენაესი სასამართლოს ცნობით, ჭალალიძესა და ფაშალიშვილს ბრალად ედებათ თაღლითობის ჩადენა, რაც გულისხმობს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლებას მოტყუებით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

„სასამართლომ განიხილა შუამდგომლობა, მოისმინა მხარეთა განმარტებები, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, შეამოწმა შუამდგომლობის დასაბუთებულობა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების როგორც ფორმალური (საპროცესო), ისე ფაქტობრივი საფუძვლები, მიიჩნია, რომ პროკურორის შუამდგომლობა საფუძვლიანია და ის დააკმაყოფილა, ბრალდებულების – გურამ ჭალალიძის და გოჩა ფაშალიშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულ იქნა პატიმრობა.

ის, რომ გოჩა ფაშალიშვილი წარსულში იყო პროკურორი და ამჟამად მოქმედი ადვოკატია და დასაბუთებული ვარაუდით დაეუფლა თანხას, კიდევ უფრო ზრდის საფრთხეს მისი მხრიდან შესაძლო კანონდარღვევის ჩადენის თაობაზე“, – აღნიშნულია უზენაესი სასამართლოს განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## უკრაინელმა ტანკისტებმა წვრთნები დაიწყეს



უკრაინაში, ჟიტომირის პოლიგონზე, უკრაინელმა ტანკისტებმა წვრთნები დაიწყეს. გავრცელებული ინფორმაციით, ბელოცერკოვის მექანიზირებული ბრიგადა წვრთნებს ჟიტომირის პოლიგონზე გადის.

„რა თქმა უნდა, მშვიდობა გვინდა და რუსებთან ომი არ გვინდა, მაგრამ თუ მოგვიწევს, ჩვენს ამოცანას შევასრულებთ“, – აცხადებენ უკრაინელი სამხედროები.

ამასთანავე, უკრაინის რადამ მხარი დაუჭირა ეროვნული გვარდიის შექმნას. ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრის, არსენ ავაკოვის განცხადებით, გამოცხადდება ეროვნულ გვარდიაში მობილიზაცია. ავაკოვმა ასევე აღნიშნა, რომ ქვეყნის სამხედრო ნაწილებში მობილიზაციაზე სურვილი დაახლოებით 50 ათასმა ადამიანმა გამოთქვა. (ინტერპრესნიუსი)

## „დელტაში“ ბევრი რამ შეიცვლება



ეკონომიკისა მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის, „დელტას“ რეორგანიზაციის პროცესი დასაწყისშია და იქ ძალიან ბევრი რამ შეიცვლება.

„ეს არის გადაწყვეტილება ჯერ ორგანიზაციის გადმოსვლის თაობაზე, იქ ნაწილი შეიძლება დარჩეს თავდაცვის სამინისტროში, ხოლო ნაწილი, რომელსაც უფრო მეტად ეკონომიკური დატვირთვა აქვს, შეიძლება გადმოვიდეს ეკონომიკის სამინისტროში. ასე რომ, რეორგანიზაციის პროცესი დასაწყისშია და ძალიან ბევრი რამ შეიცვლება იქ“, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

მისივე თქმით, „დელტა“ პროფილს არ შეიცვლის და, სავარაუდოდ, მეტი აქცენტი იქნება ინოვაციებზე და ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე. (ინტერპრესნიუსი)

# რას აპროტესტებენ სტუდენტები და რაზე სთხოვენ პასუხს ირაკლი ღარიბაშვილს?

*მესამე გვერდიდან*

ბობებზე ინიშნებიან, რა ხდება? სანთლით ნუ ეძებთ ნიჭიერ და კომპეტენტურ ადამიანებს, ისინი თქვენ გვერდით არიან, კარგად უნდა დააკვირდეთ და ძალიან ბევრ პროფესიონალს აღმოაჩენთ, ვისაც ეს ქვეყანა სტკივა და უყვარს. კარგია წარჩინებული სტუდენტები სახელმწიფო სტრუქტურებში სტაჟირებას რომ გაივლიან და სათანადო სერტიფიკატს მიიღებენ, თუმცა ასევე აუცილებელია, შეიქმნას სამუშაო ადგილები, რომ ხალხმა მიტინგების ნაცვლად, სამსახურებში იაროს და ქვეყანა განავითარონ.

ღარიბაშვილი სტუდენტებსა და ახალგაზრდებს კომუნიკაციის ახალ, ეფექტურ ფორმას სთავაზობს. პრემიერის „ფეისბუკის" ოფიციალურ გვერდზე, სპეციალური აპლიკაცია – „ახალი თაობის იდეა პრემიერს" შეიქმნა. კარგია, რომ პრემიერი პროგრესზე აკეთებს სწორებას, მაგრამ ვწუხვარ, რომ ვუყურებ ვადაგასულ პოლიტიკოსებს, რომელთა მიმართაც ნდობის ფაქტორი აღარ გამაჩნია.




პრემიერის კიდევ ერთი კარგი ინიციატივა – რეგიონებიდან ჩამოსული სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი აშენდება. წლების განმავლობაში ეს გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენდა და მთავრობა აღნიშნულ პროექტზე უკვე მუშაობს.

„საზოგადოების განსაკუთრებით, სტუდენტების ფხიზელი თვალი გვჭირდება, პირველ რიგში ხელისუფლებას, ვინაიდან ჩვენ არ ვართ დაზღვეული შეცდომებისგან". – მომწონს პრემიერო ეს თქვენი განცხადება, მაგრამ მთავარია, შინაარსი იყოს დაცული. „აქ მოსვლა არავინ დაგაძალათ, არც არავინ აგიკრძალათ. დამთავრდა ის დრო, როდესაც სხვები სადღაც წყვეტდნენ, ვინ სად მისულიყო, სად წასულიყო და რა ეთქვა. ყველამ ვიცით, როგორ ძალადობდნენ იმ სტუდენტებზე, რომლებსაც განსხვავებული აზრი ჰქონდათ. დღეს ვითარება რადიკალურად არის შეცვლილი. დღეს, ყველას შეუძლია გამოთქვას თავისი აზრი, მათ შორის ყველაზე კრიტიკული აზრიც. ყველგან, ყველა დროში, ახალგაზრდობა თავისუფალია და ეს თავისუფლება იყო დათრგუნული ამ კედლებში. საბედნიეროდ, ეს ყველაფერი უკან არის, ამიტომ ვისაუბროთ მომავალზე. თავისუფლება ქართველი ხალხის მთავარი მონაპოვარია და ჩვენ აღარ დავუშვებთ სტუდენტების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებას. მე ამას მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ".

ბატონო პრემიერო, სტუდენტების დეპოლიტიზების პარალელურად, ისიც კარგი იქნება, თბილისელების აზრი გაითვალისწინოთ, როცა საუბრობთ, რომ თბილისის გზებზე არსებული მდგომარეობა დედაქალაქის მერიის საბოტაჟია და დავით ნარმანიას, თბილისის მერად არჩევის შემდეგ, ამ მიმართულებით ბევრი სამუშაო ექნება. რატომ ხართ დარწმუნებული, რომ თბილისი ნარმანიას აირჩევს? ჰკითხეთ თბილისელებს? რატომ ცდილობთ, მოსახლეობა შეაგუოთ, რომ ნარმანია აუცილებლად გახდება დედაქალაქის მერი? და რომ ვერ გახდეს, მაშინ რას იტყვით?

პრემიერი სტატუსშეჩერებული სტუდენტების საკითხის გარკვევას განათლების მინისტრს დაავალებს, თუმცა საინტერესოა, აქამდე რა საკითხით იყო დაკავებული განათლების მინისტრი? რატომ არის ამ ქვეყანაში ყველაფერი ერთი კაცის მოსაკითხი ამბავი? აქაც საკადრო კრიზისია, მინისტრების დიდი ნაწილი, ფაქტობრივად, თანამდებობისთვის შეუფერებელია. ერთ-ერთმა დოქტორანტმა პრემიერს ინფორმაცია მიაწოდა, რომლის მიხედვითაც, 1500 დოქტორანტიდან ნახევარს სტატუსი აქვს შეჩერებული სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო. ასეთ მნიშვნელოვან საკითხებს პრემიერი ერთ-ერთი დოქტორანტისგან არ უნდა იგებდეს, განათლების მინისტრი ამ საკითხების მოგვარებით უნდა ყოფილიყო დაკავებული და არა „ბე-ემ-ვეს" ჯიპის შეძენითა და ხელფასის თვლით. ასე რომ, თუკი თამარ სანიკიძე თანმიმდევრული არ იქნება და ვერ გაარჩევს პრიორიტეტებს მეორეხარისხოვანისგან, ის ნამდვილად უნდა დაემშვიდობოს მინისტრის სავარძელს და მართლა საქმის მცოდნე, პროფესიონალი დაინიშნოს. მარტო პრესცენტრის რელიზებს ნუ ეყრდნობით, წაიკითხეთ გაზეთები და გაიგებთ, რა ხდება სინამდვილეში განათლებაში.

ჩასაფრებულმა „ნაციონალმა" სტუდენტებმა დღის თემად აიტაცეს სტუდენტ მარიამ ქობალიას შეკითხვა, – ვხედავ ფეხბურთელს მინისტრად, შს მინისტრი არ არის იურისტი, მიჩნდება შეგრძნება, რომ განათლებას აზრი ეკარგებაო...

მინდა მარიამ ქობალიას შევახსენო, რომელსაც „ნაციონალი" დავით საყვარელიძე „ფეისბუკით" კოცნას უგზავნის და უსტატუსებს, – ყოჩაღ, კარგი გოგო ხარო... კოლექტიურო მარიამებო, და კოლექტიურო „ნაცებო", ივანე მერაბიშვილი განათლებით არ ყოფილა იურისტი, მაგრამ იყო შს მინისტრი, რომელმაც პოლიციური ქვეყანა ააშენა, კრიმინალი სახელმწიფოს რანგში აიყვანა და მისმა რეჟიმმა ხალხი ცოცხებზე შემოსვა, ანუ ალღო გამოავლინა და სისტემა ააწყო, მართალია, საშინელი სისტემა, მაგრამ ხომ ააწყო? ასე რომ, აქ განათლება და დიპლომები არაფერ შუაშია და ამის მაგალითებსაც მოგიყვანთ.

გვახსოვს დიმიტრი შაშკინი, რომელსაც უმისამართო წერილივით დაატარებდნენ სხვადასხვა სამინისტროებში, შოკისმომგვრელი კი ის იყო, როცა სასჯელაღსრულებიდან განათლების მინისტრად დასვეს; ასევე, გვახსოვს ვერონიკა ქობალია, ეკონომიკის მინისტრი, რომელიც მიშამ კანადის ღამის კლუბიდან „მოხსნა" და უკვე მინისტრ ქობალიას სახელმწიფო ქონების გაყიდვის მეტი არაფერი უკეთებია. გვახსოვს ხათუნა კალმახელიძე, სასჯელაღსრულების მინისტრი, თავის დროზე მიშას ყავის მომდუღებელი, შემთხვევით მოხვდა ხელისუფლების ორბიტაზე. მონაკოში მისმა გავლენიანმა ბიძამ ხათუნას მომავალი განსაზღვრა და სასჯელაღსრულებაში რა საშინელებებიც ხდებოდა, ყველას გვახსოვს. გაიხსენეთ „ნაციონალების" სოფლის მეურნეობის მინისტრი კვეზერელი, მოსიარულე ანეკდოტი. ყველას გვახსოვს მისი ოფიციალურ ტონში გაკეთებული განცხადება პირუტყვზე – დედალი ძროხა. ასე რომ, „საძროხეთიდან" გამოდით და ზოგჯერ უკან გაიხედეთ, წინ რომ კარგად გადახტეთ. თქვენი განათლება აზრს კი არ კარგავს, პერსპექტივა გიჩნდებათ. მთავარი ის კი არ არის, რომელი უნივერსიტეტის დიპლომი გაქვს, არამედ რა დონის კვალიფიკაცია გექნება და როგორი სპეციალისტი იქნები.

**ნინო სამხარაძე**
599 71-14-22

**რედაქციისგან:** **სწორედაც ჩასაფრებული უნდა იყოს საზოგადოება, რომ შედეგად ისევ ის არ მიიღოს, რაც „ნაციონალებმა" დამართეს ქვეყანასა და ხალხს. უბრალოდ, დღეს „ნაცებს" არა აქვთ მორალური უფლება, სხვას უკიჟინონ, როცა თვითონ წლების განმავლობაში უარესს სჩადიოდნენ. უცოდინარი, არაკვალიფიციური მინისტრი „ნაციონალების" იქნება თუ „ოცნების", ამით ხალხისთვის არაფერი იცვლება.**

**ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...**



## განათლების საერთაშორისო ცენტრი იქმნება

განათლების მინისტრ თამარ სანიკიძის ინფორმაციით, განათლების საერთაშორისო ცენტრის შექმნაზე მუშაობა უკვე დაწყებულია.

„პრემიერის ინიციატივაა, შეიქმნას საერთო ფონდი, რომელიც იზრუნებს ჩვენი სტუდენტების საზღვარგარეთ სწავლის დაფინანსებაზე; ჩაატარებს სამუშაოებს, რომ სტუდენტები ისევ უკან მოიზიდოს, დაასაქმოს იქ, სადაც ამის საჭიროება არსებობს. ვფიქრობ, ეს კარგი იდეაა. მე ვიცი, რომ ამაზე მუშაობა დაწყებულია და მალე გვექნება წინწადგმული ნაბიჯი ამ მხრივ", – აღნიშნა სანიკიძემ.

რაც შეეხება სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს, რომელთა საკითხის შესწავლაც პრემიერმა განათლების მინისტრს დაავალა, სანიკიძის თქმით, მაჩვენებელი საგანგაშო არაა, რადგან სტატუსის აღდგენის პროცესიც მიმდინარეობს.

„სტატუსშეჩერებული სტუდენტების სტატისტიკის ანალიზი უკვე ჩავატარეთ. შეჩერებაზეა ხოლმე საუბარი, თუმცა არავინ ლაპარაკობს აღდგენის შესახებ, რომელი პროცესიც ასევე მიმდინარეობს. თუ გადავხედავთ, რამდენ სტუდენტს აქვს სტატუსი შეჩერებული, მაჩვენებელი საგანგაშო არ არის", – აღნიშნა განათლების მინისტრმა. (ინტერპრესნიუსი)

## თბილისში დაზიანებული გზების შეკეთება დაიწყო



თბილისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა სევდია უგრეხელიძემ ლილოში მდებარე ასფალტის ქარხანა დაათვალიერა და კობარეთის ქუჩაზე მიმდინარე საგზაო სამუშაოებს გაეცნო.

თბილისის მერიის ცნობით, ძლიერი ყინვებისა და ნალექების შედეგად საკმაოდ ბევრ ადგილას წარმოიშვა გზის დაზიანებული ზედაპირის პრობლემა და გაჩნდა ორმოები. მათივე ინფორმაციით, პრობლემის მოგვარების მიზნით, თბილისის მერიამ ქალაქის მასშტაბით უკვე დაასრულა ხელშეკრულებების გაფორმება იმ კომპანიებთან, რომლებმაც უნდა განახორციელონ შესაბამისი სამუშაოები.

ამჟამად ქალაქის ათივე რაიონში გზის საფარის აღდგენითი სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს და საავტომობილო გზებზე გადაადგილების პრობლემა უმოკლეს ვადაში გადაიჭრება. (ინტერპრესნიუსი)

## „ნაციონალებმა" თავიანთი ნათესავები მოიკითხონო




პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე „ნაციონალური მოძრაობის" წევრებს ურჩევს, „თავიანთი ნათესავები მოიკითხონ, ვინ სად ჰყავთ დანიშნული".

ასე გამოეხმაურა კობახიძე „ნაციონალური მოძრაობის" წევრთა მიერ ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ნეპოტიზმთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებს.

როგორც ვიცე-სპიკერმა განმარტა, მისი და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორია და თავისი შრომითი ბიოგრაფია აქვს.

„იმის გამო, რომ ის ჩემი დაა, მას მუშაობა არ უნდა აეკრძალოს. ამ სპეკულაციებს უკვე რამდენიმე თვეა, მაგალითად, ირმა ნადირაშვილისგან ვისმენთ და ალბათ, სჯობს, თავიანთი ნათესავები მოიკითხონ, ვინ სად ჰყავთ დანიშნული, რადგან ჩემი დის კვალიფიციურობასა და პროფესიონალიზმში ეჭვი არ შეაქვს იმ სამინისტროს, სადაც მუშაობს და თუ იქ კვალიფიციური კადრი არ სჭირდებათ, შეუძლიათ, ხვალვე გაათავისუფლონ". – განაცხადა კობახიძემ. (ფრონტნიუსი)

# „ბარამბოს“ უგემრიელესი ნაყინი საუკეთესო განწყობისთვის




კაცმა რომ თქვას, „ნაყინის სეზონი“ ამ უგემრიელესი ნუგბარის მოყვარულებისთვის არც არასოდეს გადის, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო, ზამთარში ნაყინს ბევრი ერიდება.

ჰოდა, გიხაროდეთ, ნაყინის მოყვარულებო – საყვარელი სასუსნავის სეზონი ძალიან მალე დადგება!

ისე, იმაზე თუ გიფიქრიათ, რატომ გიყვართ ნაყინი? ნუთუ მარტო იმიტომ, რომ გემრიელია, ტკბილია და შოკოლადის, ვანილის ან გნებავთ, მარწყვის გემო აქვს?

თქვენ წარმოიდგინეთ, „ნაყინთან მეგობრობისკენ“ ადამიანს ქვეცნობიერიც კი უბიძგებს – უახლესი კვლევების შედეგებით ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ნაყინი შესანიშნავად უმკლავდება სტრესს. მათი განმარტებით, რძე და ნაღები, კომპონენტები, რომლებიც აუცილებელია ნაყინის დამზადებისთვის, ეფექტურ ბუნებრივ ტრანკვილიზატორს შეიცავენ, რომელიც ამშვიდებს ნერვულ სისტემას და ამაღლებს განწყობას, რაც მთავარია, გაგრილებთ ცხელ დღეებში.

საინტერესოა ისიც, რომ ნაყინის ისტორია, როგორც ამას მეცნიერები ამბობენ, მინიმუმ 4 ათას წელს ითვლის და პოპულარობა მას ამდენი საუკუნის შემდეგაც არ დაუკარგავს...

თუმცა, როგორ შეიძლება პოპულარობა დაკარგოს ამ ყველაზე გემრიელმა ნუგბარმა?! მით უმეტეს, როცა ჩვენს გარშემო ნაირ-ნაირი სახეობის ნაყინია – თქვენ ოღონდ ინატრეთ და ისურვეთ!..

*****

ნაყინის არჩევანი საქართველოს ბაზარზე მართლაც დიდია, მათ შორის შესაძლებელია სამარხვო ნაყინის დაგემოვნებაც, რომელიც პირველმა კომპანია „ბარამბომ“ შესთავაზა საკუთარ მომხმარებელს.

გარდა ამისა, „ბარამბო“ აწარმოებს, როგორც საოჯახო ნაყინს, ისე ჭიქის, ესკიმოს ნაყინს და მოკლედ, ასორტიმენტითა და სიგემრიელით გამორჩეული ბრენდია.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ „ბარამბო“ არ შემოიფარგლება მხოლოდ სამარხვო ნაყინის წარმოებით და „სეზონის“ ბრენდით ნაყინის გარდა, მომხმარებელს შეუძლია, შეიძინოს სამარხვო ვაფლიც – ვაფლის ტორტი „სეზონი“, ვაფლის მინიტორტი „სეზონი“, ასევე, ასაწონი კანფეტები.

„ბარამბო“ გამორჩეულია იმ მხრივაც, რომ არ ივიწყებს არც პატარა მომხმარებელს და ნაყინს სპეციალურად ბავშვებისთვისაც აწარმოებს – „ბარამბინოს“ კარამელითა და „ბარამბინოს“ ვანილით...

„ბარამბოს“ ნაყინის რამდენიმე სახეობა ვახსენეთ ზემოთ, თითოეულის ჩამოთვლა კი დაუსრულებლად გაგრძელდება, რადგან „ბარამბო“ ნაყინის წარმოებაში ერთ-ერთი უსხვილესი მოთამაშეა ქართულ ბაზარზე. მთავარი კი ის არის, რომ ნაყინის არჩევანით მართლაც გამორჩეულია, აკმაყოფილებს ნებისმიერი გემოვნებისა და ასაკის ადამიანის მოთხოვნებს. ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ „ბარამბოს“ ნაწარმი ეკოლოგიურად სუფთა და უმაღლესი ხარისხისაა, რაც არაერთგზის მოპოვებული აღიარებითაც დასტურდება.

და კიდევ ერთი – „ბარამბო“ მაქსიმალურად გამჭვირვალე კომპანიაა და ამომწურავი ინფორმაცია საკუთარი პროდუქციის და ზოგადად, საქმიანობის შესახებ, ოფიციალურ საიტზე ნებისმიერი ადამიანისთვის ხელმისაწვდომია. გარდა ამისა, საწარმოში მუდმივად კეთდება ექსკურსიები როგორც სკოლის მოსწავლეებისთვის, ასევე, სხვადასხვა ჯგუფებისთვის, ორგანიზაციებისა თუ კომპანიებისთვის.




*****

რაკი საერთაშორისო აღიარება ვახსენეთ, აქვე იმასაც დავამატებთ, რომ კომპანია „ბარამბომ“ მონაწილეობა მიიღო საკვები და სასმელი პროდუქციის ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ გამოფენაში, სახელწოდებით **GULFOOD EXPO**, რომელიც 23-27 თებერვალს არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში, კერძოდ კი დუბაიში გაიმართა. გამოფენაზე კომპანიამ სრულად წარადგინა ტკბილეულის ის ფართო ასორტიმენტი, რომლითაც დღეს ლიდერი პოზიცია უჭირავს საქართველოს ბაზარზე: შოკოლადის ფილა, შოკოლადის კანფეტი, კარამელი, ვაფლი, შოკოლადის ასორტი, შოკოლადის ბატონი და ა.შ.

**GULFOOD EXPO** მსოფლიოში ცნობილი გამოფენაა, რომელსაც შარშანდელი სტატისტიკური მონაცემით 77 000 ვიზიტორი სტუმრობდა.

აღნიშნულ გამოფენაზე „ბარამბომ“ მოლაპარაკებები აწარმოა სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან, რომლებიც კომპანიის წარმოებული პროდუქციით დაინტერესდნენ და ამით ექსპორტზე გასვლის პერსპექტივები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

**ასეთი წარმატებული საქმიანობა როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ისე საერთაშორისო ასპარეზზე, „ბარამბოს“ კიდევ უფრო მეტ წარმატებას მოუტანს, რაც პირდაპირ კავშირშია ქვეყნის განვითარებასთან, კეთილდღეობასთან — ვგულისხმობთ უფრო ბევრი ადამიანის დასაქმებას, უფრო მეტ შენატანს ბიუჯეტში, უფრო მასშტაბურ ინვესტიციებს, თქვენ კი აირჩიეთ სასურველი ნუგბარი და დატკბით „ბარამბოსთან“ ერთად...**

*მიხეილ სახვაძე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სახალხო დამცველი ვიზიტით ჟენევაში იმყოფება




სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი ოფიციალური ვიზიტით ჟენევაში იმყოფება. სახალხო დამცველის ოფისის ცნობით, ომბუდსმენი ადამიანის უფლებათა დაცვისა და ხელშეწყობის ეროვნული ინსტიტუტების საერთაშორისო საკოორდინაციო კომიტეტის რიგით 27-ე წლიურ შეხვედრას ესწრება.

სესიებზე განიხილავენ ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმებს, პრევენციის მნიშვნელობასა და როლს ადამიანის უფლებათა დაცვისა და ხელშეწყობის საქმეში, ბელგრადის პრინციპებს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ მექანიზმებსა და პარლამენტებს შორის ურთიერთობის შესახებ, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სამოქმედო გეგმებსა და ქალთა უფლებებს. ასევე, გაიმართება დისკუსია ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეწყობაზე ორიენტირებულ საერთაშორისო სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით. შეხვედრის მონაწილეები ერთმანეთს სხვადასხვა გამოცდილებებს გაუზიარებენ. (ინტერპრესნიუსი)

## პრეზიდენტი ვაზიანში სამხედრო წვრთნებს დაესწრო



საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, საქართველოს თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიასთან და ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივან ირინე იმერლიშვილთან ერთად, ვაზიანის სამხედრო ბაზაზე სპეციალური დანიშნულების დანაყოფისთვის შერჩეული სამხედროების საბაზისო სპეციალური მომზადების პირველ ეტაპს დაესწრო.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, უმაღლეს მთავარსარდალს სწავლების შესახებ ინფორმაცია საქართველოს გენერალური შტაბის უფროსმა გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ პირადად გააცნო, რის შემდეგაც პრეზიდენტმა სასწავლო კლასები და ობიექტები დაათვალიერა.

ქვეყნის პირველი პირი საჩვენებელ წვრთნასაც დაესწრო, რომელიც დავალების დაგეგმვა-პროცედურებს, აერომობილური მომზადებისა და მცირე ქვედანაყოფის ტაქტიკის შესწავლას მოიცავს. წვრთნაში 50-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობდა.

„ჩვენ ვესწრებით სწავლებას, რომელიც რეგულარული პროცესია. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ქართველი ჯარისკაცები, რომლებიც ხშირად რაოდენობრივად ბევრად მრავალრიცხოვანი და ძლიერი მტრის წინააღმდეგ აღმოჩენილან, ჩვენი ქვეყნის ერთიანობას, მთლიანობასა და სიძლიერეს ყოველთვის საკუთარი ინტელექტისა და გამჭრიახობის წყალობით ინარჩუნებდნენ. დღესაც, ჩვენ ვხედავთ ქართველ ჯარისკაცებს, რომლებიც არა მხოლოდ მექანიკურად სწავლობენ საბრძოლო მოქმედებების განხორციელებას, არამედ ძალიან ღრმა ინტელექტუალურ კურსს გადიან. პირადად დავესწარი სწავლების პროცესს და დიდი შთაბეჭდილება დამიტოვა ჩვენი ჯარისკაცების წარმატებამ“, – განაცხადა პრეზიდენტმა.

სწავლება ასევე ითვალისწინებს სპეციალურ მომზადებას სტრესულ და რთულ კლიმატურ პირობებში, რომლის წარმატებით დასრულების შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურეები მომზადების შემდეგ ეტაპზე გადავლენ, ხოლო შემდეგ სპეციალური დანიშნულების ძალების შესაბამის პოზიციებზე დაინიშნებიან. მსგავსი წვრთნები მომავალშიც გაგრძელდება. (ინტერპრესნიუსი)

## ევროპარლამენტმა რუსეთს უკრაინიდან ჯარების გაყვანა მოსთხოვა



ევროპარლამენტი უკრაინის შესახებ მიღებულ რეზოლუციაში რუსეთისგან სამხედრო ძალები უკრაინის ტერიტორიიდან დაუყოვნებლივ გაყვანას მოითხოვს.

რეზოლუციაში ნათქვამია, რომ „ევროპარლამენტი გმობს აგრესიის აქტს და ყირიმში შეჭრას. მოვუწოდებთ რუსეთს კრიზისის დაუყოვნებელი დეესკალაციისკენ და სამხედრო ძალების უკრაინის ტერიტორიიდან გაყვანისკენ, რომლებიც არალეგალურად არიან უკრაინაში“, – ნათქვამია რეზოლუციის ტექსტში.

ევროპარლამენტი, ასევე, გმობს კვირას, ყირიმში დაგეგმილი რეფერენდუმის ჩატარებას ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსზე. ასევე აღნიშნულია, რომ ევროპარლამენტი უარყოფს რუსეთის განცხადებას, რომ იცავს ყირიმის რუსულენოვან მოსახლეობას და თავის ქმედებებს ამით ხსნის.

„რუსეთის ეს განცხადება აბსოლუტურად უსაფუძვლოა. ყირიმის რუსულენოვანი მოსახლეობა არ აწყდება დისკრიმინაციას. ევროპარლამენტი ასევე მკაცრად გმობს რუსეთის პროპაგანდის ცილისწამებას, რომ იანუკოვიჩის პოლიტიკის წინააღმდეგ გამოსული დემონსტრანტები ფაშისტები არიან“, – ნათქვამია ტექსტში.

ევროპარლამენტი მოუწოდებს უკრაინის ხელისუფლებას, დაიცვას ეროვნული უმცირესობების, მათ შორის რუსულენოვანი მოსახლეობის უფლებები და პატივი სცეს ყველა უმცირესობის ენას. ევროპარლამენტი ასევე მოუწოდებს ევროკავშირსა და მის წევრ ქვეყნებს, რუსეთს ერთ ენაზე ესაუბრონ და მხარი დაუჭირონ ერთიანი უკრაინის უფლებას – თავისუფლად გადაწყვიტონ თავიანთი მომავალი. (ინტერპრესნიუსი)

## გაერო აფხაზეთს 15 მილიონ დოლარს გამოუყოფს




მიმდინარე წელს, აფხაზეთში პროექტების განხორციელების მიზნით, გაერო 15 მილიონ აშშ დოლარს გამოყოფს. ამის შესახებ საქართველოში გაერო-ს მუდმივი კოორდინატორის, ნილს სკოტის სოხუმში ვიზიტისას გახდა ცნობილი. სკოტი ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტ ალექსანდრე ანქვაბს შეხვდა და დაფინანსების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. მან ასევე, განაცხადა, რომ „ეს თანხა შეიძლება გაიზარდოს, თუ აფხაზეთის ხელისუფლება პირდაპირ მიმართავს გაერო-ს დონორ ქვეყნებს და მათ აფხაზეთში ფულის ჩადების აუცილებლობაში დაარწმუნებს“.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი აფხაზეთისთვის ფინანსური დახმარების გაწევის საკითხს ეხმაურება:

„ეს არ არის გაერო-ს გადაწყვეტილება. ესაა „გაერო-ს განვითარების პროგრამის საქართველოში“ გადაწყვეტილება. ეს ოფისი 20 წელია, საქართველოში მუშაობს და ჩვენს ტერიტორიაზე ამ ტიპის პროგრამებს რეგულარულად ახორციელებს. იმ ინფორმაციით, რაც გავრცელდა, ეს იგივე პროგრამაა, რაც მანამდეც ხორციელდებოდა. რაც შეეხება იმას, რატომ შეხვდნენ ორგანიზაციის წარმომადგენლები დე ფაქტო პრეზიდენტს, აბა, ვის უნდა შეხვედროდნენ? ისინი ყოველთვის დე ფაქტო პრეზიდენტებს ხვდებოდნენ. ეს ხალხი იქ ჩადის, რათა მათ დაეხმარონ, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს. მათ დახმარება სჭირდებათ, აბა, მსოფლიო არ დაეხმაროს აფხაზებს? აბა, არ უნდა ხორციელდებოდეს ღონისძიებები, რომ იქ ნორმალური ადამიანები იბადებოდნენ? ჩვენ გვეხმარებიან საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და მე მივესალმები ამ ტიპის ორგანიზაციების საქმიანობას აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე“, – განაცხადა ზაქარეიშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# ვინ არის „ბოროტა“ და რატომ აბუნტდნენ პატიმრები?

**13 მარტს არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძემ სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ მდგომარეობაზე ისაუბრა და განაცხადა: „ის, რომ ციხეებში დღეს არ ხდება „დუბინკებითა“ და ცოცხებით გაუპატიურება, რა თქმა უნდა, დადებითია, მაგრამ სასჯელაღსრულების დაწესებულებების დღის წესრიგში ისევ ძალიან ბევრი პრობლემაა: პატიმრების ცემის ფაქტებიც არის, უფლებების შელახვისაც და სხვა მრავალი. როცა ხდება პატიმრის გარდაცვალება ან ცემა, არ ხდება ადმინისტრაციის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება“, — აცხადებს კაკაბაძე.**

**„ალია“ კომენტარისთვის ნანა კაკაბაძეს დაუკავშირდა:**

– მთავარი პრობლემა დღევანდელი პენიტენციარული სისტემისა ისაა, რომ ციხეებში დარჩენილია ძველი კადრები, რომლებიც წინა ხელისუფლების დროს აწამებდნენ ადამიანებს და ღირსებას ულახავდნენ. თავისთავად ეს ბადებს ეჭვს, რომ არ არსებობს ნება იმისა, რომ ციხეები არ იმართებოდეს კანონის უზენაესობით. საერთოდ, ციხეს ან კრიმინალები მართავენ, ან ხელისუფლება სისასტიკით მართავს, ან სრულ გამჭვირვალობაში კანონმა უნდა მართოს ციხე. მაგრამ როცა ასეთი საკადრო პოლიტიკაა, როცა სისტემაში ძველი ჯალათები არიან დარჩენილები, რომლებიც წამებას არიან მიჩვეულები, ახალი კადრები კი აბსოლუტურად გაურკვეველნი არიან არსებულ ვითარებაში და წარმოდგენა არ აქვთ პენიტენციარულ სისტემაზე, ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში ძველი ჯალათები ისევ ძველი სისტემით დაიწყებენ ციხის მართვას, როგორც ეს სააკაშვილის დროს ხდებოდა. მთელმა საქართველომ იცის, რომ ახალი ხელისუფლება სწორედ ამ ციხის კადრებით მოვიდა და თუ ეს ვერ გაითავისეს ახლებმა და ისევ ზერელედ უყურებენ ციხის პრობლემებს, ეს არც ამ ახალი მთავრობისთვის დასრულდება დიდი წარმატებით.



ხალხი მათი ამომრჩეველია. ვაცხადებ, თუ ციხეებში მართლაც რადიკალური ცვლილებები არ მოხდება, ეს ძალიან ძვირი დაგვიჯდება. არადა, სწორედ ეს ნიშნები ჩანს.

**— თქვით, საკმაოდ ბევრია ძველი კადრი დარჩენილიო და კონკრეტულად, ვინ?**

– იმაზე კონკრეტული, რაც 12 მარტს მოხდა ციხეში, სხვა რა გინდათ? მე-6 საპყრობილეში დღეს...

**— რატომ ფიქრობთ ასე, თავად არ ამბობთ, უკეთესობისკენ ბევრი რამე შეიცვალაო?**

– იმიტომ ვფიქრობ, რომ თითოეული პატიმრის უკან არის ოჯახი, ამ ოჯახებსაც ეხება პრობლემები და ხელისუფლების მიმართ დაუკმაყოფილებელი გრძნობა არა მარტო ამ პატიმრებშია, არამედ მათ უკან მდგარ 5-7 ოჯახის წევრშიც, ასევე მათ სამეგობრო-სანათესაოშიც. სხვას რომ არაფერს აქცევდეს ეს ხელისუფლება ყურადღებას, ადამიანის უფლებების დაცვა აუცილებლად უნდა ხდებოდეს, რადგანაც ეს

ის დირექტორის მოადგილედ დაინიშნა დავით კიკილაშვილი, რომელზეც პატიმრები ამბობენ, რომ მან 2006 წლის სექტემბერში რამდენიმე პატიმრის თვალწინ წამებით მოკლა პატიმარი. ეს კიკილაშვილი მაშინ გაათავისუფლეს სამსახურიდან, მაგრამ სულ ახლახან აღადგინეს და ისევ მოადგილის თანამდებობა მისცეს. 12 მარტს დამიკავშირდნენ ამ ციხიდან პატიმრები და მითხრეს, რომ 11 მარტს მე-6 საპყრობილეში შემოიყვანეს პატიმარი, ვინმე „ბოროტა“, რომელიც მე-13 საკანში მოათავსეს. შემოსვლისთანავე ის იყო აგრესიული და ძალიან გამომწვევად იქცეოდაო. აგინებდა ყველას და ვერაფრით მოვახერხეთ, რომ ადმინისტრაციას გაეყვანა აქედანო. 12 მარტსაც ამ „ბოროტას“ დილიდან გაუგრძელებია გინება და აშკარა იყო, რომ ეს ადამიანი იწვევდა დანარჩენებს პროვოკაციაზე, რასაც ბუნტი მოჰყვებოდაო. პატიმრები ამბობენ, ეს ბუნტი ადმინისტრაციას სჭირდებოდა იმისთვის, რომ „სპეცნაზი“ შესულიყო ციხეში და მომხდარიყო ამ პატიმრების დასჯაცემა. მათ 12 მარტს სხვა ვერაფრის თქმა ვერ მოასწრეს ჩემთვის, რადგან საუბარი გაითიშა. 13 მარტს ისევ დამიკავშირდნენ პატიმრები და მითხრეს, ეს ყველაფერი იმიტომ სჭირდებოდა ადმინისტრაციას, რომ დავით კიკილაშვილი დაგვინიშნეს მოადგილედ და მან კი ჩვენს თვალწინ მოკლა პატიმარიო. ასევე, მითხრეს, რომ ამის შესახებ შიდა მოკვლევის სამსახურს მივეცით ჩვენება და ეს რომ ნახეს, ეტყობა, ამ კიკილაშვილმა მოინდომა ჩვენი ფიზიკური განადგურება. ამის საფუძვლად ეტყობა, ეს „ბოროტა“ გამოიყენესო. შესულა სახალხო დამცველის წარმომადგენელი, მაგრამ ამასობაში მოიტაცეს ის პატიმარი, რომელიც მე დამიკავშირდა და ეს ამბავი მომიყვა. ამ მომენტამდე (საღამოს 6 საათი) ოჯახმა არ იცის, სად არის პატიმარი გიორგი ბერუაშვილი. მეუღლე დადის და დაეძებს, ცოცხალია თუ არა.

**— რას ნიშნავს, გაიტაცეს, სად?**

– უთქვამთ, დირექტორს უნდა შენთან ლაპარაკიო, გაიყვანეს და აღარ მიუყვანიათ. გეუბნებით, ამ წუთებშიც ცოლი ეძებს. სასჯელაღსრულებამ გააკეთა განმარტება, რომ ეს ტყუილია და არავითარ მსგავს ადგილი არ ჰქონიაო, მაგრამ ფაქტია, რომ ჯერ ვერ პოულობს, ჩემი ქმარი გაქრაო.

**— თქვენ კარგად იცნობთ ამ სისტემას და რა ხდება?**

– რა ხდება და ან ვერ მართავენ ციხეს, ან მიზანმიმართულად ისევ ეს ძველი კადრები ჰყავთ დატოვებული. კითხვას ვსვამ: რატომ არ არის შექმნილი მონიტორინგის საბჭო, რომელიც შევა და გააკონტროლებს, რა ხდება ციხეებში? ომბუდსმენი შედის, მაგრამ რა? რა მოიტანა ამან? აქ გამჭვირვალობას სწორედ ეს საბჭო განახორციელებდა, რომელიც უნდა იყოს არასამთავრობოების დამკვირვებლებით დაკომპლექტებული. გამოვიდნენ და თქვან, რომ ეს კიკილაშვილი არაფერში დამნაშავე არ არის. რატომ არ ამბობენ?

**მე-6 საპყრობილეში მომხდართან დაკავშირებით, კომენტარი გააკეთა მინისტრმა სოზარ სუბარმა: „მეექვსე დაწესებულებაში არიან პატიმრები, რომლებიც შემჩნეული არიან რეჟიმის დარღვევაში. მათ არ მოსწონთ რეჟიმი, მაგრამ მათ ჭკუაზე არ იქნება მოწყობილი სისტემა. არანაირი სადამსჯელო ღონისძიება, არანაირი სპეცრაზმი არ ყოფილა შესული და არც იგეგმება, თუ საჭირო არ გახდა. ხოლო, თუ საჭიროება შეიქმნა, ყველაფერი გაკეთდება ისე, როგორც კანონი მოითხოვს. იქ არაფერი არ ხდება...“**

თამარ ოქრუაშვილი

599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## კუბლაშვილი სასამართლოზე მომზადებულ ცვლილებებს არ ეთანხმება




უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, კონსტანტინე კუბლაშვილის განცხადებით, უზენაესი სასამართლოს შესახებ ცვლილებების პროექტი მომზადებულია ისეთი ადამიანების მიერ, რომლებსაც წარმოდგენა არ აქვთ, რას ნიშნავს უზენაესი სასამართლო, როგორც საკასაციო სასამართლო. მისი თქმით, ცვლილებები, რომელიც იუსტიციის სამინისტრომ წარმოადგინა, საფრთხეებს შეიცავს სასამართლოს დამოუკიდებლობის კუთხით.

„საუბარია, საქმეთა დასაშვებობის პრინციპის შეცვლაზე. როცა სასამართლო სისტემის შესახებ ვინმეს სურს რაიმე ცვლილების განხორციელება, ვალდებულია, კონსულტაციები გაიაროს თავად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან და პლენუმთან. ამის შემდეგ აღარ დაიწერება ის დიდი სახუმარო ტექსტები, რომელიც წარმოადგინა იუსტიციის სამინისტრომ, საუბარია 3 მნიშვნელოვან საკითხზე: პირველი – უნდა გაიზარდოს მოსამართლეთა რაოდენობა, მეორე – ეს არის საქმეთა დასაშვებობის პრინციპი, რომელიც, ფაქტობრივად, უნდა გაუქმდეს და მესამე საკითხი არის საქმეთა განხილვის ვადის 6-დან 4 თვემდე შემცირება. რა საფრთხეებს შეიცავს ეს ცვლილებები? უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობას განსაზღვრავს თავად უზენაესი სასამართლო და ეს არის აუცილებელი და კარგი სისტემა, რათა უზენაესი სასამართლო დაცული იყოს სხვა ხელისუფლების მხრიდან ჩარევისგან. თუ ჩვენ ამ რაოდენობის საკითხს გადავცემთ საკანონმდებლო ხელისუფლებას, ეს დამოუკიდებლობისთვის შექმნის უზარმაზარ საფრთხეს, რადგან საკანონმდებლო ხელისუფლებას შეეძლება, გარკვეული დროის შემდეგ თქვას, რომ უზენაეს სასამართლოში არა 20, არამედ 15 მოსამართლე უნდა იყოს. ეს გამოიწვევს იმას, რომ თუკი საკანონმდებლო ორგანო შეამცირებს მოსამართლეების რაოდენობას, გამოდის, რომ მოსამართლეები უნდა წავიდნენ უზენაესი სასამართლოდან, ეს არის უზარმაზარი საფრთხე“, – განაცხადა კუბლაშვილმა.

მისი თქმით, აუცილებელია, რომ რაოდენობის განსაზღვრა დარჩეს უზენაესი სასამართლოს კომპეტენციაში. „თუკი ვინმეს შეეძლება გადაეცეს ეს უფლება, ეს არ უნდა იყოს საკანონმდებლო ორგანო და არც აღმასრულებელი ხელისუფლება. ეს უნდა გადაეცეს კონსტიტუციას და კონსტიტუციაში უნდა ჩაიწეროს, რამდენი მოსამართლე უნდა იყოს უზენაეს სასამართლოში. ამით დაცული იქნება მაღალ დონეზე სასამართლო სისტემა და უზენაესი სასამართლო საკანონმდებლო ხელისუფლების ჩარევისგან დაცული იქნება“.

რაც შეეხება იუსტიციის სამინისტროს მიერ საქმის დასაშვებობის სისტემაზე შემუშავებულ ცვლილებებს, „თანამედროვე მსოფლიოს სტანდარტია, რომ უზენაესი სასამართლოები საქმეთა დასაშვებობის პრინციპით მუშაობს, იმიტომ, რომ უზენაესი სასამართლო არის საკასაციო ინსტანციის სასამართლო და ის საქმეებს განიხილავს სწორედ ამ წესით. ამ დროს მისი მთავარი ფუნქციაა, მნიშვნელოვანი განმარტებების გაკეთება კონკრეტულ სამართლებრივ ნორმებზე. აუცილებელია, რომ საქმეები, რომლებიც კანონისა და პრაქტიკის შესაბამისად არის გადაწყვეტილი, პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მიერ, უზენაეს სასამართლოში არ იქნას დაშვებული, იმიტომ რომ იქ სამართლებრივად ყველაფერი სწორად არის გაკეთებული. უზენაესმა სასამართლომ ყურადღება უნდა მიაქციოს სწორედ ისეთ საქმეებს, სადაც არ არის ჯერ პრაქტიკა დადგენილი, არ არის კარგად განმარტებული ნორმები“, – განაცხადა კუბლაშვილმა.

რაც შეეხება საქმის განხილვის ვადების შემცირებასთან დაკავშირებით იუსტიციის სამინისტროს ინიციატივას, კუბლაშვილი არც აღნიშნულ ცვლილებას იწონებს. „არსად სხვა ქვეყნებში არ დგას საკითხი ვადებთან დაკავშირებით თუ რა ვადაში უნდა მოხდეს საქმის განხილვა, ეს ვადა არის განუსაზღვრელი. მაგალითად, საფრანგეთში საშუალო ვადა საქმეთა განსაზღვრაში წარმოადგენს 9 თვეს, მაგრამ ჩვენთან უზენაეს სასამართლოში ეს დადგენილია 6 თვით. ამის შემცირება 4 თვემდე ნიშნავს, სწორედ კონვეიერის სისტემით საქმეების განხილვას, ის რაც ახსენა იუსტიციის მინისტრმა. აქედან გამომდინარე, ეს არის მიუღებელი“, – განაცხადა კუბლაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



## თედო ჯაფარიძე სამუშაო ვიზიტით აშშ-ში იმყოფება



პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე სამუშაო ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება. პარლამენტის ცნობით, ჯაფარიძე ვაშინგტონში შეხვედრებს სენატორებთან, კონგრესმენებთან, გავლენიან ევროპელ და ამერიკელ ლიდერებთან გამართავს.

პარლამენტის ინფორმაციით, 16-20 მარტს ვაშინგტონსა და უილიამსბურგში ჩატარდება სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრის მიერ ორგანიზებული ფორუმი, რომელშიც თედო ჯაფარიძესთან ერთად ასევე სპეციალური მიწვევით მონაწილეობას მიიღებს საქართველოს პარლამენტის წევრი თინათინ ხიდაშელი.

„ფორუმზე ყურადღება დაეთმობა სამომავლო პერსპექტივებს, ევროპული პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირის გაფართოებას, ეკონომიკური ზრდისა და კონკურენტუნარიანობის საკითხებს, ლეგიტიმურობასა და პოლიტიკური ხელისუფლების მნიშვნელობას, სამართლებრივ და საკანონმდებლო პროცესებს. ფორუმი ასევე მოიცავს მნიშვნელოვან დისკუსიას ევროპის მომავალთან დაკავშირებით, ამერიკის ისტორიულ გამოცდილებასა და თანამედროვე ევროპის ინსტიტუციონალურ ცვლილებებზე ისაუბრებენ ევროპელი და ამერიკელი ოფიციალური პირები და ექსპერტები. ფორუმში მონაწილეობას მიიღებს ევროპელ პოლიტიკოსთა ფართო სპექტრი, მათ შორის ცნობილი პოლიტიკოსები, დიპლომატები, მეცნიერები, ექსპერტები, ეკონომისტები და ჟურნალისტები“, – აცხადებენ პარლამენტში.

მათივე ინფორმაციით, ფორუმის დამთავრების შემდეგ საქართველოს პარლამენტის წევრები მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა მრგვალი მაგიდის დისკუსიებში, მათ შორის კარნეგის ფონდში, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტსა და ბრუკინგის ინსტიტუტში.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის თედო ჯაფარიძის ვიზიტი აშშ-ში 12 მარტს დაიწყო. (ინტერპრესნიუსი)

## რუსეთმა უკრაინის საზღვრებთან სწავლებები დაიწყო

რუსეთის არმიამ უკრაინის სასაზღვრო ოლქებში სწავლებები დაიწყო. ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, მიმდინარე ღონისძიებების მთავარი მიზანი ქვედანაყოფების მზადყოფნის საყოველთაო შემოწმებაა მათთვის უცნობ ტერიტორიასა და შეუმოწმებელ პოლიგონებზე. რუსეთის თავდაცვის უწყების ცნობით, სწავლებები მარტის ბოლომდე გაგრძელდება. (ინტერპრესნიუსი)

# დათა ახალაიასა და მეგის ქარდავას ბრალი დაუმძიმეს

## აი, ახლა კი დაიჭირენ...

გუშინ პროკურატურამ დათა ახალაიასა და ბაჩო ახალაიას საქმეზე დაკითხული ლევან ქარდავა და გიორგი მაზმიშვილი დააკავა. ისინი „ნავთლუღის“ ბაზართან ჩატარებული სპეცოპერაციის თაობაზე იყვნენ დაბარებულები პროკურატურაში. დაკავებულების ადვოკატები აცხადებდნენ, რომ გატაცებული იყო მესამე პირი, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომელი გოჩა სულუხია. იგი მოგვიანებით ლევან ქარდავას




სახლთან გამოჩნდა და განაცხადა, რომ დილით ის და ლევან ქარდავა, მოდულის შენობის მიმდებარე ტერიტორიასთან სამოქალაქო ფორმიანმა პირებმა გააჩერეს. მისი თქმით, ლევან ქარდავა სხვა ეკიპაჟმა წაიყვანა, მას კი რამდენჯერმე შეუცვალეს მანქანა და დაახლოებით 5-6 საათის განმავლობაში მანქანაში იჯდა სამოქალაქო ფორმიან უცნობ პირებთან ერთად.

დაკავებიდან ცოტა ხანში მთავარმა პროკურატურამ განცხადება გაავრცელა.

„საქართველოს პროკურატურამ, დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და მტკიცებულებათა ფალსიფიკაციის ფაქტებზე, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი მაღალჩინოსნები – ლევან ქარდავა და გიორგი მაზმიშვილი დააკავა. ასევე, გამოტანილია დადგენილება კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი დირექტორის დავით ახალაიას ბრალდებულად ცნობის შესახებ.

საქმე ეხება 2006 წლის 12 იანვარს, „ნავთლუღის“ ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ ჩატარებულ ხმაურიან სპეცოპერაციას, რომლის დროსაც განსაკუთრებული სისასტიკით იქნა მოკლული სამი ახალგაზრდა, მარად ართმელაძე, რომან სურმანიძე და მურად გორგაძე.

ხსენებულ სისხლის სამართლის საქმეზე, 2013 წლის ოქტომბრიდან, აქტიურად განახლდა საგამოძიებო მოქმედებები, რომელთა შედეგად დადგინდა, რომ 2006 წლის იანვრის დასაწყისში, იმ დროისთვის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე ახლად დანიშნულმა ბაჩანა ახალაიამ და მისმა ძმამ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორმა დავით ახალაიამ, პატიმართა შორის და საზოგადოებაში შიშისა და ე.წ. „ნულოვანი ტოლერანტობის“ სინდრომის დანერგვისათვის, გადაწყვიტეს საზოგადოებისთვის ეჩვენებინათ განსაკუთრებული სისასტიკე. აღნიშნულის მისაღწევად დავით ახალაიამ, თითქოსდა პატიმართა შესაძლო გაქცევის შესახებ ინფორმაციის გამოყენებით სისხლიანი სპეცოპერაცია დაგეგმა.

2006 წლის 12 იანვარს, დავით ახალაია თავის თანამშრომლებთან ლევან ქარდავასთან, გიორგი მაზმიშვილთან, სპეცდანიშნულების რაზმის უფროსთან შალვა თათუხაშვილთან და ასევე ამ ეტაპზე დაუდგენელ სხვა თანამშრომლებთან ერთად ავტოსადგურ „ნავთლუღის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მივიდა, სადაც, მათი ინფორმაციით, დაახლოებით საღამოს 9 საათზე, ერთ-ერთი პატიმრის გია გორგაძის ძმა, წინასწარ შერჩეული და მოსაკლავად განწირული 17 წლის მურად გორგაძე და მისი მეგობრები – 21 წლის რომან სურმანიძე და 23 წლის მარად ართმელაძე უნდა მისულიყვნენ. ხსენებულ ტერიტორიაზე უიარაღო მ. გორგაძის და მისი მეგობრების მისვლისთანავე, მათკენ გაემართნენ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული დავით ახალაია, გიორგი მაზმიშვილი, ლევან ქარდავა და კუდ-ის სხვა თანამშრომლები, რომლებმაც დავით ახალაიას ორგანიზებით უდანაშაულო ახალგაზრდები ალყაში მოაქციეს და მათი გადარჩენის რაიმე თეორიული შესაძლებლობა თავიდანვე მოსპეს. შეიარაღებული პირების დანახვისთანავე შეშინებულმა გორგაძემ და მისმა მეგობრებმა კუდ-ის თანამშრომლებს ხვეწნა დაუწყეს არ ესროლათ მათთვის, შეეცადნენ გაქცევას და საშველად უხმობდნენ გარშემომყოფთ, თუმცა საპასუხოდ ახალაიამ თანამზრახველებთან ერთად ყოველგვარი გაფრთხილებისა და შეყოვნების გარეშე დაიწყო მათ მოსაკლავად მიზანმიმართული სროლა. სროლების შედეგად მიყენებული ჭრილობების გამო, სამივე მათგანი მიწაზე დაეცა. ჩაცხრილულ ახალგაზრდებს დავით ახალაია მიუახლოვდა. ძირს დაცემულ შოთა გორგაძეს ავტომატის ლულა თავზე მიაბჯინა და საკონტროლო გასროლა მოახდინა. ახალაიას მიბაძეს გიორგი მაზმიშვილმა და მათთან ერთად მყოფმა თანამშრომლებმა, რომლებმაც თავის არეში საკონტროლო გასროლები განახორციელეს ართმელაძისა და სურმანიძის მიმართულებით. სროლის შედეგად მ. გორგაძე მიღებული 12 ცეცხლნასროლი, ართმელაძე 5 და სურმანიძე 6 ჭრილობის შედეგად ადგილზევე გარდაიცვალნენ.

მათვე გორგაძის, სურმანიძისა და ართმელაძის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის ინსცენირების მიზნით, მოახდინეს მტკიცებულებების ფალსიფიკაცია და გვამებთან დაალაგეს წინასწარ მომზადებული, სპორტული ხელჩანთით შემთხვევის ადგილზე მიტანილი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი. ამის შემდეგ საზოგადოებისთვის საჩვენებლად შსს-ს მაშინდელმა პრესსამსახურმა გურგენ (გურამ) დონაძის ხელმძღვანელობით ვიდეოფირზე გადაიღო სპეცოპერაციის მიმდინარეობის დადგმული სცენა, რასაც თან ახლდა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით ჰაერში სროლა და შემთხვევის ადგილის გადაღება.

მალევე, ბაჩანა ახალაიასთვის ცნობილი გახდა თავისი ძმის მიერ ჩადენილი მკვლელობის შესახებ და მათ მიერ მოფიქრებული პატიმრების მასობრივი გაქცევის ვერსიის გასამყარებლად, უმალვე მეგის ქარდავასთან და სად-ის სპეცდანიშნულების რაზმთან ერთად გაემართა რუსთავის №1 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, სადაც სასურველი ჩვენებების, კერძოდ გაქცევის აღიარების მიღების მიზნით, სასტიკად აწამა ახლად გარდაცვლილი შოთა გორგაძის ძმა გია გორგაძე და მასთან მყოფი სხვა პატიმრები.

მოგვიანებით, ზემოთ მითითებული სპეცო-

*გაგრძელება მერვე გვერდზე*

**ფაქტი... ამბავი... მოვლენა...**

## როდის ჩავა მარგველაშვილი უკრაინაში?

პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განცხადებით, „რა მომენტშიც და რა წუთშიც საქართველოს პრეზიდენტი უკრაინელებისთვის კიევში საჭირო გახდება, ის იქ ჩავა, ისევე, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე“.

„კიევში ჩადიან და უნდა ჩავიდეს ის ხალხი, რომელსაც პროცესებზე გავლენის მოხდენა შეუძლია და ყველამ უნდა გავაკეთოთ ის, რომ სწორი მიმართულებით წავიდეს ეს პროცესი. საქართველოს გავლენის მოხდენა რა დოზით და საშუალებებითაც შეუძლია, აკეთებს. ამას საქართველოს ხელისუფლება თავისი დამოკიდებულებითა და რეაგირებით აკეთებს, მათ შორის – ყველა საერთაშორისო ორგანიზაციაში, სადაც ჩვენი ქვეყანა წარმოდგენილია, ასევე ორმხრივ ურთიერთობებში პრაქტიკულად ყველა წამყვან სახელმწიფოსთან და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თავად უკრაინის მოქმედ მთავრობასთან, რომელთანაც მუდმივი კონტაქტია, ზოგჯერ – აფიშირებული, ზოგჯერ კი – არააფიშირებული, არა იმიტომ, რომ რაიმე გვაქვს დასამალი, უბრალოდ საქმე მხოლოდ მედიისთვის არ კეთდება“, – განაცხადა უსუფაშვილმა.

„ერთადერთი, რასაც არ გავაკეთებთ, ეს არის პოლიტიკური სპეკულაციები თემაზე, როდესაც პრობლემა ცხელია და არ გავაკეთებთ ისეთ რამეს, რაც არ იქნება შეთანხმებული იმ ხალხთან და იმ ლიდერებთან, რომელთა გადაწყვეტილებებზე არა მხოლოდ უკრაინის, არამედ საქართველოს ბედიც არის დამოკიდებული. ის ვინც ამ ხაზს არ გაჰყვა, ან არ გაჰყვება, ვერ გააკეთებს ვერც თავის, ვერც სხვისი ქვეყნის საქმეს“, – აღნიშნა უსუფაშვილმა. (ფრონტნიუსი)



CIAN MAGENTA YALLOW BLACK



## ამერიკა რუსეთს კიდევ ერთხელ აფრთხილებს



ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჯონ ქერიმ დღეს ვაშინგტონში კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპა უკვე მომავალ ორშაბათს მთელ რიგ ნაბიჯებს გადადგამს რუსეთთან მიმართებაში იმ შემთხვევაში, თუკი ყირიმის სტატუსთან დაკავშირებით რეფერენდუმი ჩატარდება.

ქერის განცხადებით, ყირიმში რეფერენდუმის ჩატარების შემთხვევაში, აშშ-მ უკვე მოამზადა „ძალიან მკაფიო სია იმ ადამიანებისა, რომელთა მიმართაც სადამსჯელო ზომები გატარდება“.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სერგეი ლავროვი ლონდონში გაემგზავრა, სადაც ამერიკის სახელმწიფო მდივანს ჯონ ქერის უკრაინის საკითხზე სასაუბროდ შეხვდება. სამინისტროს ინფორმაციით, ის ასევე დიდი ბრიტანეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელ უილიამ ჰეიგს შეხვდება.

(ინტერპრესნიუსი)

## „ქართულ ოცნებაში“ კვოტები გადაინაწილეს

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, გია ვოლსკის განცხადებით, თვითმმართველობის არჩევნებისთვის კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალმა პარტიებმა კვოტები გადაინაწილეს.

„50% ექნება „ქართულ ოცნება – დემოკრატიულ საქართველოს“, დანარჩენ 50%-ს კი პროპორციულ სიებში კოალიციის სხვა წარმომადგენლები აითვისებენ. გარდა ამისა, პრინციპულად შევთანხმდით, რომ კოალიციის ლიდერი პრემიერ-მინისტრი იქნება ის ადამიანი, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას იმაზე, ვინ გაუძღვება სამეურვეო საკითხებს“, – განაცხადა ვოლსკიმ.

„რესპუბლიკელი“ დავით ბერძენიშვილის განცხადებით, „კოალიციამ ზუსტად ის მიდგომები შეინარჩუნა, რაც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ჰქონდა“.

„პროპორციული სიისთვის საკმარისი იქნება თითოეული პარტიისთვის მისი წარმომადგენლობა, მაჟორიტარულ ოლქებში კი ვისაც მეტი ძლიერი კანდიდატი ჰყავს, მეტი ძლიერი წარმომადგენელი ეყოლება თვითმმართველობაში“, – აღნიშნა ბერძენიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ თვითმმართველობის არჩევნები მიმდინარე წლის 15 ივნისს გაიმართება. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# დათა ახალაიას და მეგის ქარდავას ბრალი დაუმძიმეს

## აი, ახლა კი დაიჭერენ...

*მეშვიდე გვერდიდან*

პერაციის ჩატარების ოფიციალურ მიზეზად დასახელდა, თითქოსდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №1 დაწესებულებაში მყოფი გია გორგაძის ძმა – მურად გორგაძე, მეგობრებთან მარად ართმელაძესთან და რომან სურმანიძესთან ერთად, პატიმართა მასიური გაქცევის ორგანიზების მიზნით, გეგმავდნენ №1 დაწესებულებაზე შეიარაღებულ თავდასხმას, თუმცა აღნიშნული საკითხი, არც სპეცოპერაციის დაწყებამდე და არც მისი ჩატარების შემდგომ, არც ერთ სამართალდამცავ ორგანოში არ გამოძიებულა, მაშინ როდესაც კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ ჩატარებულ სისხლიან სპეცოპერაციას 3 უდანაშაულო ახალგაზრდა ემსხვერპლა.




გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ა“ და „თ“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით, სსკ-ის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 369-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს ათიდან ოც წლამდე, ან უვადო თავისუფლების აღკვეთას“.

საღამოს პროკურატურაში დაკითხვაზე დაიბარეს ბაჩო ახალაიას ადვოკატი გოგა ონიანი და შსს-ს პრესცენტრის ყოფილი ხელმძღვანელი გურამ დონაძე, რომლებსაც რამდენიმე საათის მანძილზე ჰკითხავდნენ.

დაკითხვის შემდეგ ონიანმა განაცხადა: „კითხვა იყო ასეთი: ხომ არ იცი, ბაჩო ახალაია იმყოფებოდა თუ არა რუსთავში რეალურად იმ დროს, როდესაც ბრალი აქვს წაყენებული. ძალიან კარგად იციან, რომც ვიცოდე, როგორც ადვოკატს, არ მაქვს უფლება, მათ განვუცხადო აღნიშნულის შესახებ. შესაბამისად, ეს მე განვუცხადე მათ და ისინი ვერ შემეწინააღმდეგნენ. მოვაწერე ხელი ამაზე და გამოვედი“.

რაც შეეხება დონაძეს, მისი თქმით, „დამრჩა შთაბეჭდილება, რომ გამოძიებას აქვს საკმაოდ სერიოზული მტკიცებულებები და მიხარია, რომ ძალიან მალე გაირკვევა, ამ საქმეში მე რა ბრალი მიმიძღვის, რა ბრალი მიუძღვით სხვა ადამიანებს. მე მოვყევი, რატომ მივედი ნავთლუღის სპეცოპერაციის ადგილას, რომ ეს იყო ჩემი მოვალეობა, დანარჩენი, მე ვიცი კადრები, რომელიც ე.წ. ჟურნალისტმა ნანა ლეჟავამ გაავრცელა და საზოგადოებას აჩვენა მონტაჟური ხასიათის ფილმი, რომელიც მან გამოიყენა როგორც აწყობდა, ამაზეც ვისაუბრე და აღვნიშნე, რომ ეს იყო სხვა მომენტი და სხვა დრო“.

საღამოს დიდხანს გაგრძელდა ლევან ქარდავას სახლის ჩხრეკა, რა დროსაც ინციდენტი მოხდა, სამართალდამცველებმა ოჯახის ახლობელი ლევან ჭანტურია დააკავეს. სამართალდამცველთა განცხადებით, ჭანტურიამ მათ ჩხრეკის დროს ხელი შეუშალა და წინააღმდეგობა გაუწია. შსს-ს პრესსამსახურის უფროსის ნინო გიორგობიანის განცხადებით, ჭანტურია დაკავებულია ადმინისტრაციული კოდექსის 173-ე მუხლით, რაც პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევას გულისხმობს და 166-ე მუხლით – წვრილმანი ხულიგნობა, რაც ითვალისწინებს ჯარიმას ან 30-დან 60 დღემდე პატიმრობას“.

ვინაიდან დათა ახალაიას ახალი ბრალი წაეყენა, უნდა ვივარაუდოთ, რომ არასწორია ხმები, თითქოს ის პროკურატურასთან გარიგებულია და გარკვეული ინფორმაციების სანაცვლოდ მას არ აპატიმრებენ.

ისე, საინტერესოა, როგორ აპირებენ ახალაიას, მეგის ქარდავასა და სხვათა რეალურად დასჯას, როდესაც დიდი ხანია ისინი „წითელი ცირკულარით“ იძებნებიან და ჯერ ვერც ერთ მათგანს ვერ მიაკვლიეს? ეს მაშინ, როცა ვრცელდებოდა ინფორმაციები, რომ მაგალითად, სოსო თოფურიძე სტამბულში არაერთხელ ნახეს, ზურაბ ადეიშვილი უნგრეთში პრემიერის მრჩევლად მუშაობს და მას შეუძლია, სკაიპით მისცეს კიდეც სასამართლოს ჩვენება.

**ამის გასარკვევად „ალია“ ჯერ ბრალდების მხარეს, პროკურატურას დაუკავშირდა. საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა, თემურ დოლიძემ განგვიცხადა, რომ ყველა საქმის დეტალი მისთვის ცნობილი არაა, რომ ამ საკითხებში კომპეტენტური საერთაშორისო ძებნის დეპარტამენტის პროკურორია, რომელიც ამჟამად საქართველოში არ იმყოფება. ამ უზარმაზარ დეპარტამენტში, სადაც მუშაობს ათობით ადამიანი, ერთის გარდა, კომპეტენტური არავინ ყოფილა და რისთვის ვუხდით ხელფასს?**

**რაც შეეხება შსს-ს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ნინო გიორგობიანმა „ალიას“ განუცხადა: „ზოგადად, ინტერპოლის მიერ თუ იძებნება პიროვნება და ეს ქვეყანა მიერთებულია ინტერპოლს, ვალდებულია, დააკავოს წითელი ცირკულარით ძებნილი პირი. ეს იმ ქვეყნის გადასაწყვეტია, დააკავებს თუ არა ამა თუ იმ პირს. როგორც ის ქვეყანა გადაწყვეტს, ისე მოხდება ყველაფერი. ჩვენ სხვა რა ბერკეტი შეიძლება გვქონდეს გარდა იმისა, რომ წითელ ცირკულარში ჩავსვით. როცა ინტერპოლითაა ძებნილი პიროვნება, ყველა ვალდებულია, კანონის შესაბამისად მოიქცეს. როცა პირი წითელ ცირკულარშია ჩასმული, ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა დოკუმენტაცია შესწავლილია და გადაცემულია ინტერპოლს“. — განაცხადა გიორგობიანმა.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## უკრაინის პატრიარქი დასავლეთს მიმართავს



კიევის პატრიარქი ფილარეტი დასავლეთს უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის დაცვას სთხოვს. მან რუსეთის საპატრიარქოს მიმართა და განაცხადა, რომ „თუ რუსული ეკლესია იმ ხელისუფლების გვერდზე დგას, რომელიც უკანონობას სჩადის, მაშინ მას ღმერთთან არაფერი აკავშირებს“.

„სიმართლე არა მხოლოდ იმაშია, რომ რუსეთმა დაარღვია ყველა საერთაშორისო ხელშეკრულება, არამედ დაუშვა პრეცედენტი, რომ სხვებმაც არ მიაქციონ ყურადღება საერთაშორისო ხელშეკრულებებს. ყირიმში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით გავრცელებულ განცხადებაში ჩვენი პოზიცია დავაფიქსირეთ რუსეთის ეკლესიის მიმართაც – თქვენ ღმერთთან ხართ თუ ხელისუფლებასთან? თუკი თქვენ ხელისუფლებასთან ხართ, რომელიც უკანონობას სჩადის, ესე იგი, თქვენ არ ხართ ღმერთთან ერთად. გთხოვთ, ამერიკას, ბრიტანეთს, ევროპის სხვა ქვეყნებს, არ მისცეთ რუსეთს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის უფლება. ასევე მივმართავთ ნატოს, დაიცვას ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა, რადგან ვიცით, რომ რუსეთი ყირიმზე არ გაჩერდება. ჩვენ კარგად ვიცით მათი მადა და ისიც, რომ შემდეგ დანარჩენი უკრაინა იქნება“, – განაცხადა ფილარეტმა. (ინტერპრესნიუსი)

## პუტინის რეიტინგმა რუსეთში მაქსიმუმს მიაღწია



რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის რეიტინგმა რუსეთში მაქსიმუმს მიაღწია. როგორც რუსული მედია წერს, იმ ადამიანების რიცხვმა, რომლებიც რუსეთის პრეზიდენტის საქმიანობას დადებითად აფასებენ, 71,6%-ს მიაღწია, რაც ბოლო სამი წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. რუსეთის საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტში აცხადებენ, რომ პუტინის რეიტინგმა სოჭის ოლიმპიადისა და უკრაინის მოვლენების ფონზე მოიმატა.

მათივე ინფორმაციით, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, პუტინის საქმიანობას დადებითად აფასებდა რუსეთის მოქალაქეების 60%, 2002 წლის მაისში კი პუტინის რეიტინგმა 68%-მდე მოიმატა. როგორც საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრში აღნიშნავენ, პუტინის პოლიტიკის მხარდამჭერების რიცხვი ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში განსაკუთრებით გაიზარდა და მხოლოდ თებერვალში რეიტინგმა 9,7%-ით მოიმატა.

საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრმა გამოკითხვა 8-9 მარტს, რუსეთის 130 დასახლებულ პუნქტში ჩაატარა. (ინტერპრესნიუსი)

# რატომ გააუქმა სააკაშვილმა გადადგომამდე ატომური სადგურის მშენებლობის აკრძალვა?

„მწვანეთა პარტია" საქართველოს პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივით მიმართავს, რომელიც პარლამენტში 17 მარტს შევა. გაჩეჩილაძის განცხადებით, „ჩვენ გვსურს, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების კანონში დაბრუნდეს ის მუხლი, რომლის მიხედვითაც საქართველოში ატომური სადგურების მშენებლობა იყო აკრძალული. ეს აკრძალვა მნიშვნელოვანია სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისით. ჩვენ აქტიურ სეისმურ ზონაში ვიმყოფებით. ფუკუსიმას მაგალითმაც გვაჩვენა, რომ აქტიურ სეისმურ ზონებში ატომური სადგურების მშენებლობა არის მოსახლეობის გენოციდისა და ქვეყნის განადგურების ტოლფასი. ავარიის შემთხვევაში, ქვეყნის არსებობას დაესმება წერტილი. ამის მაგალითი არის ჩერნობილი".

გაჩეჩილაძის თქმით, ატომური სადგურის მშენებლობის აკრძალვა „ქართულ ოცნებას" 2012 წლის საარჩევნო პროგრამაში მკაფიოდ ჰქონდა გაწერილი, თუმცა ხელისუფლებაში მოსულმა პარტიამ ეკოლოგიასთან დაკავშირებული პროგრამის ნაწილი ამ დრომდე არ მოიყვანა სისრულეში.

**„ალია" კომენტარისთვის პარლამენტარსა და მერობის კანდიდატს, ᲒᲘᲐ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔᲡ დაუკავშირდა:**

**— ბატონო გია, ეს მუხლი ვინ და რა მიზეზით ამოიღო?**

– „მწვანეთა პარტიამ" 1993 წელს გავაკეთეთ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ კანონი. სხვათა შორის, უნდა გითხრათ, რომ საერთაშორისო დონეზე ამას ძალიან კარგი რეაქცია მოჰყვა, იმიტომ რომ იმ კანონით ჩვენ, ფაქტობრივად, ყველაფერი ავკრძალეთ: რადიაციული ნარჩენის ექსპორტი, ბირთვული ტექნოლოგიების შემოტანა, ტრანზიტი, საერთოდ ყველაფერი აიკრძალა და ფაქტობრივად, საქართველო მსოფლიოში გამოჩნდა, როგორც ბირთვული და რადიაციული თვალსაზრისით უსაფრთხო ქვეყანა.



მარტის ბოლოს პრემიერ-მინისტრი მიემგზავრება ჰააგაში, ბირთვული უსაფრთხოების სამიტზე. ეს არის უდიდესი ფორუმი, რომელშიც მონაწილეობს 5 ათასამდე დელეგატი, 58 სახელმწიფოს პირველი პირი და 3 ათასი ჟურნალისტი. ამას ოფიციალურ მონაცემებს გეუბნებით და რამხელა ტრიბუნაა საქართველოსათვის, სადაც შეიძლება ირაკლი ღარიბაშვილი გამოვიდეს და თქვას, როგორც ეს 1993 წელს მოხდა, რომ საქართველო არის უბირთვო ზონა, ყოველგვარი ატომური და რადიაციული იარაღის ტექნოლოგიებისგან. ეს არის ძალიან კარგი მესიჯი საზოგადოებისთვის და მთელი მსოფლიოს კაცობრიობისთვის. რაც შეეხება მუხლის ამოღებას, 2012 წელს, ერთი კვირით ადრე, სანამ სააკაშვილი სამიტზე წავიდოდა, პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება და ატომური აკრძალვის მუხლი ამოიღო კანონიდან. სააკაშვილი 2007 წელს პარიზში ჩავიდა, იქ ფარული მოლაპარაკებები აწარმოა ერთ-ერთ დიდ კომპანიასთან, რომელიც მსოფლიოში ატომურ სადგურებს აშენებს. ისინი ფარულად შეთანხმდნენ, რომ საქართველოში აშენდებოდა დაახლოებით ჩერნობილისა და ფოკუსიმას სიდიდის ატომური სადგური, რომლის ღირებულება უნდა ყოფილიყო 4 მილიარდ ევრომდე. ამ კომპანიას მაშინაც და ახლაც პრობლემები ჰქონდა, რადგან ატომური სადგურების მშენებლობა პრობლემაა, საზოგადოება ყველგან ეწინააღმდეგება და უჭირთ ხოლმე ნაკვეთების მიღება. შენ რომ ჩადიხარ და სთავაზობ, შენს ქვეყანაში ააშენოს ატომური სადგური, იქ „ატკატი" დაახლოებით 5-დან 10%-მდეა. ახლა იანგარიშეთ 4 მილიარდიდან რამდენი გამოდის „ატკატი". ჩვენ ეს შემთხვევით გავიგეთ ჩვენი ფრანგი მეგობრებისგან და ავტეხეთ ერთი ამბავი ამასთან დაკავშირებით.

**— ფიქრობთ, პარლამენტი თქვენს კანონპროექტს მხარს დაუჭერს? უმრავლესობა რომ დატოვეთ, განაცხადეთ, იმიტომ წამოვედი, რომ ჩვენს ინიციატივებს არ ითვალისწინებდნენო.**

– კანონპროექტი პრაქტიკულად მზად მაქვს, ცოტა რედაქტირება სჭირდება, შევიტან პარლამენტში და იმედი მაქვს, რომ მიიღებენ. იმიტომ მაქვს მიღების იმედი, რომ ჩვენ როცა პარლამენტში შევედით, „ქართული ოცნებას", გარემოს დაცვის წინასაარჩევნო პროგრამა ჰქონდა, იქ გარემოს დაცვის ნაწილში პირდაპირ წერია, რომ აიკრძალება ატომური სადგურების მშენებლობა საქართველოში. ჩემი წინადადება ემთხვევა „ქართული ოცნების" წინასაარჩევნო პროგრამას და როგორ არ დაუჭერენ მხარს? როცა სახელმწიფოებრიობისთვის მნიშვნელოვანი საკითხი დგება, რომელიც საგარეო იმიჯს ასწევს და მოსახლეობის უსაფრთხოებასაც უზრუნველყოფს, მე იმედი მაქვს, რომ მხარს დამიჭერენ და თუ არ დამიჭერენ, მაშინ კიდევ ერთხელ მოუწევთ იმის თქმა, რომ არღვევენ წინასაარჩევნო დაპირებებს. მე უმრავლესობიდან ხომ გამოვედი, ვარ დამოუკიდებელი, თავისუფალი ადამიანი, თუმცა ძალიან კარგი ხალხია უმრავლესობაში, ჩემი მტრები არ არიან.

**— წინასაარჩევნო დაპირებებში ისიც იყო, რომ გიგანტური ჰესები აღარ უნდა აშენებულიყო, რომელიც მერე ხელისუფლებაში მოსულ „ოცნებას" „დაავიწყდა".**

– სხვათა შორის, იმ მუხლში წერია ამ გიგანტური ჰესების საკითხი, სადაც ატომურ სადგურებზეა საუბარი. გიგანტურთან დაკავშირებით რაღაც სირთულეებია. ცნება „გიგანტური", საერთაშორისო პრაქტიკაში არ არსებობს, მით უმეტეს საქართველოში. შეიძლება გიგანტური ელექტროსადგური აჭარისთვის სხვა იყოს, სვანეთისთვის სხვა და კახეთისთვის სხვა. ჩვენ ვეძებთ კრიტერიუმს, რომლითაც დავადგენთ, რეგიონებისთვის რომელი იქნება საფრთხის შემცველი და რომელი შეიძლება ჩაითვალოს გიგანტურად, საშუალოდ და მცირედ.

**— ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ სადაც დიდი ფულია, იქ „ქართულ ოცნებას" დაპირებები ავიწყდება...**

– არა, მანდ სხვა პრობლემაა. სააკაშვილის მიერ დატოვებული მემორანდუმებია ესენი და ფულებია გადახდილი, ესაა პრობლემა. მანდ სიფრთხილეა საჭირო, ამიტომ ისე უნდა გაკეთდეს და ისე უნდა შევაჩეროთ ეს მშენებლობა, ხუდონჰესზე მაქვს პირველ რიგში აქცენტი, რომ საერთაშორისო სკანდალი არ გამოვიწვიოთ. ხელშეკრულებები არსებობს და იმის უხეშად დარღვევა საერთაშორისო არბიტრაჟში საჩივარს ნიშნავს.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ᲤᲐᲥᲢᲘ... ᲐᲛᲑᲐᲕᲘ... ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ... ᲤᲐᲥᲢᲘ... ᲐᲛᲑᲐᲕᲘ... ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ... ᲤᲐᲥᲢᲘ... ᲐᲛᲑᲐᲕᲘ... ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ... ᲤᲐᲥᲢᲘ... ᲐᲛᲑᲐᲕᲘ... ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ... ᲤᲐᲥᲢᲘ... ᲐᲛᲑᲐᲕᲘ... ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ... ᲤᲐᲥᲢᲘ... ᲐᲛᲑᲐᲕᲘ... ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ... ᲤᲐᲥᲢᲘ... ᲐᲛᲑᲐᲕᲘ... ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ... ᲤᲐᲥᲢᲘ... ᲐᲛᲑᲐᲕᲘ... ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ...

## ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების კანონში ცვლილებებს აპრილში განიხილავენ




აპრილიდან საპარლამენტო კომიტეტები ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შესახებ კანონში ინიცირებული ცვლილებების განხილვას იწყებენ. მანამდე კი, 27-28 მარტს, ევროკავშირის ექსპერტების მონაწილეობით სპეციალური კონფერენცია გაიმართება, სადაც საკანონმდებლო ცვლილებებზე იმსჯელებენ. საუბარია კანონპროექტზე, რომელიც ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ფარულ მოსმენა-მიყურადებაზე შეზღუდვებს აწესებს და ახალი რეგულაციებით შემოდის. კანონში დაგეგმილი ცვლილებების დაწყების საკითხი ბიუროს სხდომაზე უმცირესობის წევრმა, ლევან ბეჟაშვილმა დააყენა. მისი განცხადებით, მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა გიგი უგულავასა და მისი ქალიშვილის სატელეფონო საუბრის ფარული მოსმენის თაობაზე, დაწყებულია არასამთავრობო ორგანიზაციების კამპანია, პროექტის განხილვა პარლამენტმა დროულად უნდა დაიწყოს. დეპუტატის განმარტებით, კანონპროექტის განხილვა თავის დროზე იმ მოტივაციით შეჩერდა, რომ ელოდნენ ექსპერტების დასკვნას და სადღეისოდ ეს დასკვნა არსებობს.

ბეჟაშვილის ინიციატივის დაყენების შემდგომ, ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ 5 აპრილამდე დაიწყება პროექტის პირველი მოსმენით განხილვა, მანამდე კი 27 და 28 მარტს საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით გაიმართება სპეციალური კონფერენცია. (ინტერპრესნიუსი)

## საპროცესო შეთანხმების საკითხზე დიალოგს მოითხოვენ




არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები" მიიჩნევს, რომ პროკურატურამ საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის გადახედვა ფართო დიალოგის რეჟიმში უნდა დაიწყოს.

„ახალი რეგულაციების პროცესში, მნიშვნელოვანია სახელმწიფომ ერთდროულად შეასრულოს მართლწესრიგის დაცვა და კანონის წინაშე მოქალაქეების პასუხისმგებლობა, ამასთანავე, სათანადოდ შეფასდეს გამოწვევები და საფრთხეები, რომელიც სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის გამკაცრების შედეგებს უკავშირდება. „ახალგაზრდა ადვოკატები" მთავარ პროკურატურას მიმართავს და ინიციატივის პროექტის გასაჯაროებას გონივრულ ვადებში მოითხოვენ. მნიშვნელოვანია, თუკი საპროცესო შეთანხმებების გაფორმება, მომავალში, რომელიმე მთავარი პროკურორისა და სახელმწიფოს კეთილ ნებაზე არ იქნება დამოკიდებული, არამედ საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტს, კანონით განსაზღვრული კრიტერიუმები დაარეგულირებს, საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი შექმნის რეალურ შესაძლებლობას მხარეთა ინტერესების საფუძვლიანობისთვის და უპირატესობას მიანიჭებს ბრალის შეფასებას. ყველა დანაშაული ინდივიდუალურია და ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს, ვინაიდან სამართალწარმოების ეტაპზე უნდა დადგინდეს, რატომ ჩაიდინა პირმა კონკრეტული ქმედება და რა იყო ჩადენილი დანაშაულის მოტივი. დღემდე მოქმედი წესით, საპროცესო შეთანხმების დადება პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა. პროკურორი, თითოეულ საქმეზე, თავად წყვეტს, დადოს თუ არა საპროცესო შეთანხმება. ყურადღება არ ექცევა იმ ფაქტს, რომ შესაძლებელია, არსებობდეს განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, თუმცა მაინც დაიდოს საპროცესო შეთანხმება". – ნათქვამია ორგანიზაციის განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

# რის აღიარებით დაუშვა კატასტროფული შეცდომა „ოცნების“ ხელისუფლებამ

**პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილის მიერ თსუ-ში გაკეთებულ განცხადებას, — „სანთლით ვეძებ კვალიფიციურ კადრებსო“, ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში, დემურ გიორხელიძე ეხმაურება. მისი თქმით: „ქართული სახელმწიფო ისეა მოწყობილი, რომ კვალიფიციური კადრებისთვის ყველა არხი გადაკეტილია და მათი საჯარო საქმეში გამოყენება დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. სამინისტროების კადრების კომპლექტაცია ძირითადად, წინა ხელისუფლების დროს მოხდა. ამდენად, როცა მასშტაბური ამოცანაა ქვეყნის წინაშე, საქმის გამკეთებელი პრემიერ-მინისტრი, რა თქმა უნდა, უდიდეს პრობლემებს აწყდება. ახლა არის კრიზისული სიტუაცია. ამას სჭირდება აბსოლუტურად სხვანაირი მართვა, სხვა კადრები... არის სავალალო მდგომარეობა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოში არ არის კადრები. კადრების პრობლემა არ არის, კადრების არჩევისა და განთავსების პრობლემაა“.**



**დეტალების დასაზუსტებლად „ალია“ დემურ გიორხელიძეს დაუკავშირდა:**

**— ამბობთ, რომ სხვანაირი მართვაა საჭირო და სხვანაირი კადრები. რას გულისხმობთ?**

– პირველ რიგში, უნდა ითქვას ის, რომ, თუ ჩვენ სახელმწიფოს ვაშენებთ ამ ურთულეს დროში, სისტემური კრიზისის პირობებში, საზოგადოების წინაშე ხელისუფლება გარკვეულ ამოცანებს უნდა სვამდეს და ამ ამოცანების გადაწყვეტა სწორედ იმ რესურსის ხარჯზე შეიძლება, რომელიც ჩვენს ქვეყანას გააჩნია. პირველ რიგში ეს არის ადამიანური რესურსი, მაგრამ, როდესაც ხელისუფლებამ თვითონ აღიარა, რომ ჩვენ ქართველები ვართ, ამიტომ ნეპოტიზმი ჩვეულებრივი ამბავიაო, ვფიქრობ, კატასტროფული შეცდომა დაუშვა. თუ გინდა, რომ სახელმწიფო დასავლურ მოდელზე მოაწყო და გინდა, რომ პროგრესს მიაღწიო, ხელისუფლება ნიჭის გამოვლენის საშუალებას უნდა იძლეოდეს და ადამიანები სამსახურში უნდა მიიღებოდნენ, იმისდა მიხედვით, დასმული ამოცანის გადაწყვეტას როგორ შეძლებს. როდესაც ეს კრიტერიუმი არა გაქვს და „სივი“, რომელსაც ჩვენი მოქალაქეები აბსოლუტურად უიმედოდ, უშანსოდ აგზავნიან სახელმწიფო დაწესებულებებში, რომელსაც არც არავინ კითხულობს, არც არავინ არჩევს, თვისთავად ქმნის პრობლემებს. მე ვფიქრობ, რომ პრემიერ-მინისტრი შექმნილმა მძიმე სიტუაციამ აიძულა, ყურადღება გაემახვილებინა ამ საკითხისადმი. დარწმუნებული ვარ, თუ ძალიან სერიოზული ცვლილებები არ მოხდა და ხელისუფლებამ არ გახსნა ყველა არხი, არ გამოიყენა არსებული ადამიანური რესურსი, განურჩევლად გვარისა, სახელისა, პარტიული კუთვნილებისა, ასაკისა და ასე შემდეგ, ცოტა ხნის შემდეგ, როცა შედეგები კიდევ უფრო ცუდი იქნება, პრემიერი გაცილებით მძიმე განცხადებებს გააკეთებს.

**— თუ მართლა საქმის კეთება უნდათ, რა უშლით ხელს, რომ პროფესიონალები დაასაქმონ უწყებებში?**

– ერთია დეკლარირება და მეორეა რეალური მიზნები, რომელსაც ისახავ და რომლის ამბიცია გაქვს, რომ გააკეთო, ანუ დააყენო ფეხზე წაქცეული ქვეყანა. დრო გადის და ჩვენ ვერ ვხედავთ უმძიმესი დროის შესაბამის ნაბიჯებს. ეს პირველ რიგში შეიძლება საერთო სტრატეგიის უქონლობის ბრალი იყოს და ნელ-ნელა სწორდება, მაგრამ მეორე მხრივ, უუნარო კადრების ბრალია და უუნარობა სახელმწიფო სამსახურში ასეთ პატარა ქვეყანაში, იქ, სადაც საბაზრო ეკონომიკა კარგად არ არის განვითარებული, კერძო სექტორი ძლიერი არ არის და სადაც უამრავი ადამიანი ისევ სახელმწიფოს ხელს შეჰყურებს, ცხადია, კატასტროფულია.

ათასობით ადამიანმა გაიარა სხვადასხვა დონეზე გარკვეული კვალიფიკაცია. ზოგს ეს მოსდევს თვიდან და ისინი აგრძელებენ საკუთარ თავზე მუშაობას. მე ვიცი არაერთი ბრწყინვალე საქმის მცოდნე, მიუხედავად უდიდესი მატერიალური გაჭირვებისა, დღედაღამ შრომობს საკუთარ თავზე და საოცარი შესაძლებლობები აქვს, საზოგადოებისთვის დაიხარჯოს, მაგრამ სახელმწიფო არხები გადაკეტილია. ამ დროს კი, რომ გაამართლონ საკუთარი უმოქმედობა, მაღალჩინოსნები გაიძახიან, რომ პროფესიონალიზმი არ გვყოფნის და ქართველები უუნარო ხალხია. ისე გამოდის, რომ მათ არაფერი არ შეუძლიათ, სინამდვილეში ეს ასე არ არის. ამის დამტკიცება ძალიან იოლად შეიძლება.

როდესაც სისტემა გამოკვეთილი არ არის, როცა ხელისუფლების უმაღლესი ნება არ არის მკაცრად დაყვანილი ქვედა დონეზე და რეალიზება არ ხდება იმ მიზანდასახულობებისა, რომელსაც დრო და სიტუაცია მოითხოვს, ბუნებრივია, საშუალო და ქვედა დონეებზე ადამიანები ცდილობენ, შეინარჩუნონ საკუთარი თავი. რაკი არ არსებობს კონკურენტული გარემო, რაკი არ არსებობს გადარჩევის მექანიზმი, თუ რაღაც დიდი არ დააშავეს, რაკი კვლავ პარტიული ნიშნით, ნათესაობითა და მეგობრობით ხდება კადრების შერჩევა, ბუნებრივია, ისინი დაინტერესებული არ არიან ცვლილებით. სახელმწიფო სამსახური კი მაშინ დგება უდიდესი პრობლემის წინაშე, როდესაც სამსახურს არავინ სთხოვს ეფექტურობას, არავინ ამოწმებს იმ დავალებებისა და ფუნქციების შესრულების ხარისხსა და შესაბამისობას, რაც მათ აკისრიათ. ჩვენ ხალხი არ უნდა დავადანაშაულოთ, ისინი ენდობიან იმ სისტემას რა სისტემაც მათ ხვდებათ. თუ ამ სისტემას არ ანგრევ და სიცოცხლე არ შეგაქვს ამ მკვდარ სტრუქტურებში, ნურაფერს ნუ ელი მაშინ. გაითვალისწინეთ კიდევ, წინა ხელისუფლების მიერ პარტიული ნიშნით დაკომპლექტებული თითქმის მთელი სახელმწიფო აპარატის დიდი ნაწილი ხელუხლებელია. მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ პარტიული ნიშნით ვინმეს მიღებისა და განთავისუფლების, მაგრამ, როდესაც სამსახურს არ უყენებ კრიტერიუმებს და არ სთხოვ პასუხს წლის შედეგების მიხედვით, ბუნებრივია, დგება საკითხი, რომ ამ კადრებით საქმის გაკეთება არ შეიძლება. მე ვფიქრობ, რომ ეს იგრძნო პრემიერ-მინისტრმა, რაც ძალიან კარგია, წინააღმდეგ შემთხვევაში, უბრალოდ, შედეგი არ იქნება.

ბოლოს და ბოლოს, ხელისუფლებას იმის რესურსი მაინც გააჩნია ყველა სახის, ინდივიდუალურ დონეზე ყველა სპეციალობის მონაცემთა ბაზა გააკეთოს და ჰქონდეს სრული ინფორმაცია ყველა ადამიანზე და ელემენტარულად მოახდინოს მათი შერჩევა, მაგრამ უნდა გინდოდეს, რომ ეს გააკეთო. საქართველო მცირერიცხოვანი ქვეყანაა, ამის გაკეთება შეიძლება და რაკი არ კეთდება ესე იგი ვილაცებს ეს არ აწყობთ.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ბათუმში ახალგაზრდა ქალი ზღვაში დაიხრჩო



ბათუმში, აკვა-პარკის სანაპიროსთან 35 წლამდე ასაკის ქალი ზღვაში დაიხრჩო. აჭარის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, მამუკა თურმანიძის განცხადებით, სამაშველო სამსახურის მყვინთავმა ზღვაში მალევე იპოვა ქალი, თუმცა ის გარდაცვლილი იყო: „ბათუმის სამაშველო სააგენტოს მყვინთავი ზაზა ვარშანიძე ზღვაში შევიდა და ქალბატონი იპოვა, მაგრამ ნაპირზე გამოყვანა ძლიერი ტალღების გამო ვერ შეძლო. მან ცხედარი სიღრმეში გაიყვანა, რის შემდეგაც სანაპირო დაცვის თანამშრომლებმა მყვინთავი და ცხედარი გემზე აიყვანეს. გარდაცვლილია 35 წლამდე თამრიკო დიასამიძე, რომელიც ბათუმში, ანგისის დასახლებაში ცხოვრობდა“, – აღნიშნა თურმანიძემ. (ინტერპრესნიუსი)

## საგარეო საქმეთა სამინისტროში როტაცია განხორციელდება



საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩატარებული კონკურსის შედეგად, სამინისტროში მომუშავე 18 დიპლომატის პირველი როტაცია განხორციელდება. სამინისტროს ინფორმაციით, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში როტაციის წესით სამუშაოდ წარსაგზავნი დიპლომატიური თანამდებობის პირების შესარჩევმა კომისიამ შიდა კონკურსი ჩაატარა, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების საროტაციო თანამდებობებზე. შერჩეული 23 კანდიდატიდან 18 დიპლომატისთვის ეს იქნება პირველი როტაცია მისი დიპლომატიურ სამსახურში მუშაობის განმავლობაში, ხოლო დანარჩენ 5 შერჩეულ კანდიდატს უკვე აქვს სხვა ქვეყნებში როტაციაში ყოფნის გამოცდილება. (ინტერპრესნიუსი)

## იუსტიციის საბჭო პოლიტიკურ პარტიებს მიმართავს



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო პოლიტიკოსებს მოუწოდებს, თავი შეიკავონ ისეთი განცხადებებისგან, რომლებიც ზიანს აყენებს სასამართლოს ავტორიტეტს.

საბჭოს ცნობით, 2014 წლის 13 თებერვალს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს პარლამენტის წევრმა, გიორგი ვაშაძემ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებს – დავით ახალბედაშვილს, მალხაზ გურულსა და მორის ფუხაშვილს პოლიტიკური დაკვეთის შესრულებაში დასდო ბრალი.

„ყველას შევახსენებთ, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია, ხოლო ამავე კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, დაწესებულებას, საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ გაერთიანებას, თანამდებობის პირს, იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს ეკრძალებათ სასამართლოს დამოუკიდებლობის შელახვა. მოსამართლეზე რაიმე ზემოქმედება ან მის საქმიანობაში ჩარევა გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ ახდენს პარლამენტის წევრის ზემოაღნიშნული განცხადების ფაქტის, ისევე როგორც ამ განცხადების მიზეზთა პოლიტიკურ შეფასებას, თუმცა, იმავდროულად საჭიროდ მიიჩნევს განაცხადოს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო დაუშვებლად მიიჩნევს სასამართლოსა და კონკრეტულ მოსამართლეთა მისამართით ნებისმიერ ისეთ საჯარო განცხადებას, რომელიც შეიძლება აღქმული ქნეს, როგორც სასამართლოს შეურაცხყოფა ან/და მასზე პოლიტიკური ზეწოლის მცდელობა.

საზოგადოებას განვუმარტავთ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებები ემყარება კანონსა და მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, რომლებიც მოსამართლის მიერ შეფასებულია შინაგანი რწმენის საფუძველზე და ამასთანავე, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის უმთავრესი პრინციპის განუხრელი დაცვით.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოუწოდებს სახელისუფლო თუ სხვა პოლიტიკურ პარტიებს, ისევე როგორც მასმედიას, გამოხატვის თავისუფლების განხორციელებისას თავი შეიკავონ ისეთი განცხადებებისაგან, რომლებიც ზიანს აყენებს სასამართლოს ავტორიტეტსა და პრესტიჟს და იწვევს სასამართლოსადმი ხალხის ნდობის დაკარგვას“, – აღნიშნულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

# ექსკლუზივი

# რა საგანგებო დავალება მისცა სააკაშვილმა გივი თარგამაძეს უკრაინიდან?

უკრაინაში მყოფი მიხეილ სააკაშვილი უკვე დაუკრეფავში გადავიდა, როგორც ჩანს, მისი ევროპელი და ამერიკელი „მამები" ვერ აცნობიერებენ, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ხელით რა შარში ეხვევიან. როგორც „ალიას" ერთ-ერთი ინკოგნიტო მაღალჩინოსანი ატყობინებს, უკრაინის ტერიტორიაზე უკიდურესად დაძაბული ვითარების გამო, სააკაშვილი უახლოეს გარემოცვასთან ერთად, მისი ბიძის - თეიმურაზ ალასანიას დახმარებით, ახორციელებს ჩრდილოკავკასიელი ვაჰაბისტებისა და საქართველოდან ადგილობრივი ყოფილი ძალოვნების მობილიზებას, რომლებსაც გამოცდილება აქვთ მიღებული საბრძოლო მოქმედებებში. წყაროს ინფორმაციით, სააკაშვილს დაგეგმილი აქვს, თუ უკრაინაში სათავისოდ წაუვიდა საქმე, აღნიშნული პირები გამოიყენოს საქართველოში დესტაბილიზაციის განსახორციელებლად.



ყოფილი ძალოვნები, ასევე „სპეცნაზის" ყოფილი თანამშრომლები და „მხედრიონის" ზოგიერთი წევრები აცხადებენ მობილიზებას უკრაინაში გასამგზავრებლად, რის სანაცვლოდაც მათ სოლიდურ ანაზღაურებას ჰპირდებიან. ამ საქმის ორგანიზატორად სააკაშვილს საქართველოში დაუნიშნავს საპარლამენტო უმცირესობის წევრი, გივი თარგამაძე, რომელსაც ამ მხრივ რუსეთსა და უკრაინაში დიდი „გამოცდილება" გააჩნია. ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ მან 2010 წელს უკრაინაში მიმდინარე არჩევნების დროს ძალოვანთა გარკვეული ჯგუფები ჩაიყვანა იანუკოვიჩის წინააღმდეგ. სხვათა შორის, ბატონმა ვალერი გელბახიანმა სწორედ იმ პერიოდში გააკეთა საგანგაშო განცხადება:

„მე და გივი შემთხვევით აღმოვჩნდით ერთად რესტორანში. გივი უკრაინელ მეგობრებთან ერთად ღია ცის ქვეშ ქეიფობდა, ჩვენ კი მთავარ დარბაზში ვისხედით. უეცრად წვიმა წამოვიდა, გივი და მისი მეგობრები დარბაზში შემოვიდნენ, ცარიელი მაგიდა ვერ იპოვეს და ჩვენკენ გამოეშურნენ. გივი თანდათან „გაიხსნა"... მან ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილების გამოხატვა დაიწყო, აქეთ გამომაგდეს, საქართველოში პრობლემებს მიქმნიანო. ისეთ დავალებებს მაძლევენ, შესრულება მაინცდამაინც გულზე არ მეხატება, მაგრამ თუ არ შევასრულე, საქართველოში ვეღარ დავბრუნდებიო".



როგორც ჩანს, იყო დრო, როცა გივი თარგამაძეს ძალიან მძიმე დავალებებს აძლევდნენ (მაგალითად, რუსეთში რევოლუციის მოწყობა) და რაღაც-რაღაცების შესრულება არ სიამოვნებდა, მაგრამ ახლა, სააკაშვილის ჭკუით, გადამწყვეტი ბრძოლა მიდის როგორც უკრაინაში, ისე საქართველოში და იმედია, გივი თარგამაძე აღარ იწუწუნებს.

სიტუაცია ძალიან საშიშ ფაზაში შედის, მამალი „ნაციონალები" თავიანთი მუქარის აღსრულებას იწყებენ... გავიხსენოთ, რას წერდა „ფეისბუკის" საკუთარ გვერდზე უკრაინაში ჩასული პარლამენტარი, დავით საყვარელიძე:

„თქვენი დროც დადგება, საქართველოს რუსეთუმეებო. მთელი დღეა, სულით და გულით უკრაინელ თავისუფლებისმოყვარე ხალხთან ვარ. ბუნებრივად და გეოგრაფიულად გარდაუვალია, როგორც საქართველო, ისე უკრაინა განვითარებისა და ცივილიზაციის გზას ასცდეს! წარმომიდგენია, რა ხდება როგორც უკრაინის, ასევე საქართველოს ხელისუფლების სხვადასხვა სავარძელში გამაგრებულ მე-5 კოლონის წარმომადგენლების გულში... ვაი, თუ ჩვენი განკითხვის დღე დადგაო, ფიქრობენ".

ამ თემაზე „ალია" უკვე წერდა. მაგალითად, პეტრე მამრაძის თქმით: „სააკაშვილის, მერაბიშვილის, ადეიშვილის სისტემის მორჩილი მსახურები და თანამზრახველები კიევში მორიგი პროვოკაციისთვის ჩაფრინდნენ. ისინი ცდილობენ, ევროპას დაუმტკიცონ, რომ ძალიან პროდასავლურები არიან. მაგრამ დამიჯერეთ, ეს არის პროვოკაცია".

ისევ გავიხსენოთ 2010 წელი, როცა უკრაინაში, საპრეზიდენტო არჩევნებისას, სააკაშვილმა სპეცრეისით გადასხა დესანტი, მაშინ უკრაინის საარჩევნო კომისიამ 2000 ადამიანი დააფიქსირა, დადგინდა, რომ ისინი იყვნენ მოქმედი პოლიციელები ან რეზერვში მყოფი ქართველი ოფიცრები, ანუ ე.წ „ზონდერები".

ქართული საზოგადოების არაერთმა წევრმა მიმართა მთავარ პროკურატურას, რომ დაუყოვნებლივ გამოეძიებინათ გივი თარგამაძის საქმე, მაგრამ ფაქტია, მისთვის დღემდე ბუზიც კი არავის აუფრენია.

იმ პერიოდში უკრაინის ტელევიზია 24 საათის განმავლობაში ატრიალებდა სააკაშვილის ფარულ ჩანაწერს ტიმოშენკოსთან, სადაც სააკაშვილი ეუბნება ტიმოშენკოს: „მთავარია, დაუკავშირდეთ გივის და ყველაფერი კარგად იქნება, თქვენს მხარდასაჭერად მობილიზებული არიან ყველაზე ენერგიული, ძლიერი ადამიანები, ისინი უკვე ადგილზე არიან. ასევე, უკრაინის ტელეარხებით ვრცელდებოდა კადრები, სადაც გივი თარგამაძე ტელეფონით ესაუბრებოდა კიევში „კანონიერ ქურდებს" და იმუქრებოდა, თუ დონეცკის ოლქი ტიმოშენკოს არ მისცემს ხმას, გააუპატიურებდა დონეცკს. ამ ჩანაწერმა მთელ უკრაინაში საშინელი რეაქცია გამოიწვია და ამაზეც დეტალურად წერდა „ალია", მაგრამ, როგორც ინკოგნიტო წყარო იტყობინება, მიხეილ სააკაშვილის კრიმინალური ბანდა უახლოეს ხანში გადამწყვეტ შეტევაზე გადავა. ამჯერად, გივია თარგამაძეს დავალებული ჰქონია, დაახლოებით, 3 ათასი „ბოევიკი" შეკრიბოს (თუ მეტი იქნება, მისთვის უკეთესი) და კიევში გადაისროლოს. იმედია, ქართველი ძალოვნები აღნიშნულ ინფორმაციას კარგად შეისწავლიან და ცხელ კვალზე გამოძიებასაც დაიწყებენ.

**გელა ზედელაშვილი**

555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პრემიერს არ უთქვამს, სამინისტროში არაპროფესიონალები არიანო



ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილს არ უთქვამს, რომ ეკონომიკის სამინისტროში არაპროფესიონალები არიან. მისი თქმით, ეს იყო დასმული შეკითხვა იმის შესახებ, თუ ეკონომიკის სამინისტროში რამდენი ეკონომისტი მუშაობს. „მინდა გითხრათ, რომ ეკონომიკის სამინისტროში არის კავშირგაბმულობის, ახალი ტექნოლოგიების დეპარტამენტი, არის მშენებლობის და სივრცითი დაგეგმარების დეპარტამენტი, არის ასევე ქონების მართვის დეპარტამენტი, არის ტრანსპორტის, პოლიტიკის დეპარტამენტი და ა.შ. ამ მიმართულებებში ზოგადი პროფილის ეკონომისტების დასაქმება, ჩემი აზრით, მიზანშეუწონელიც არის. მაგალითად, საზღვაო ტრანსპორტისა და საავიაციო ტრანსპორტის სფეროში გვჭირდება ამ პროფილის სპეციალისტები", – განაცხადა კვირიკაშვილმა.

მისივე თქმით, მას ჰგონია, რომ უფრო დიდი პრობლემა არის ის, რომ ვიწრო მიმართულების სპეციალისტების ნაკლებობაა და არა ის, რომ ზოგადი პროფილის ეკონომისტები არ ჰყავთ.

„თუმცა, რაც პრემიერმა ბრძანა, რომ მუდმივად ვახდენთ ახალგაზრდა კადრების მოძიებას, ეს ნამდვილად ასეა, ძალიან ბევრი სტაჟიორი გადის სტაჟირებას და იმ შემთხვევაში თუ ისინი წარმატებით გაივლიან ამ პროცესს, ვთავაზობთ სამუშაო ადგილებს. მგონია, რომ ქვეყანაში უკეთესი მდგომარეობა მაშინ იქნებოდა, როდესაც ახალგაზრდა პროფესიონალმა არა მარტო სამინისტროებსაც მიმართოს სამსახურისათვის, არამედ კერძო სექტორში და რეალურ ეკონომიკაში წავიდნენ", – დასძინა კვირიკაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## ანგელა მერკელი რუსეთს აფრთხილებს



გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი რუსეთს აფრთხილებს, რომ უკრაინაში ქმედებების გამო, რუსეთის ინტერესებს გრძელვადიანი ზიანი მიადგება.

„თუ რუსეთი იმ კურსს გააგრძელებს, რომელსაც უკვე რამდენიმე კვირის განმავლობაში მისდევს, ეს იქნება კატასტროფა არა მხოლოდ უკრაინისთვის, არამედ ეს უდიდეს ზიანს მიაყენებს რუსეთის ეკონომიკასა და პოლიტიკას და ამაში მტკიცედ ვარ დარწმუნებული", – განაცხადა მერკელმა. (ინტერპრესნიუსი)



## პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემისთვის ერთი პირი დააკავეს

შს სამინისტრომ გურჯაანში პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ბრალდებით ერთი პირი დააკავა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1953 წელს დაბადებული ნელი ხ. პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ბრალდებით დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ნელი ხ. გურჯაანში, გურამიშვილის ქუჩაზე, საკუთარი საცხოვრებელი ბინის ოთახებს, გარკვეული გასამრჯელოს სანაცვლოდ, პროსტიტუციისთვის აქირავებდა. იგი ასევე ხელს უწყობდა პროსტიტუციაში ჩაბმულ ქალბატონებს კლიენტების მოძებნაში.

სამართალდამცველებმა მოწმის სტატუსით ოთხი ქალბატონი დაკითხეს. ბრალდებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. (ინტერპრესნიუსი)

## რუსმა ტურისტმა სტიუარდესას საჯდომზე უკბინა, თანაც რამდენჯერმე



როგორ მოასწრო და მიუდგა სტიუარდესას საჯდომს რუსი ტურისტი, რომ მისთვის ერთხელ კი არა, რამდენჯერმე კბენაც მოესწრო, რთული სათქმელია, ჩვენი აზრით, მაქსიმუმ, ხელის ჩამორტყმა უნდა მოეხერხებინა, თუმცა ზუსტად ასე ამბობენ, – უკბინაო, თანაც რამდენჯერმეო!..

ინციდენტი მოსკოვი-ეილატის (ისრაელი) რეისზე მომხდარა – „ისრეირის“ 27 მგზავრს, თავდაპირველად, დანარჩენი მგზავრებისთვის გინება დაუწყია, შემდეგ კი სტიუარდესასთან არშიყიც მოუნდომებია და მისი ყურადღება რომ მიეპყრო, ჯერ უკანალზე უკოცნია, რაზეც პასუხი არ მიუღია – კლიენტი ყოველთვის მართალია(?!) და იმიტომ, შემდეგ კი მუხლებზე დამდგარა და კბენაც დაუწყია.

საბოლოო ჯამში, ინციდენტი მალევე ამოწურულა და რუსი დებოშიორიც დაუმშვიდებიათ, თუმცა ჩვენ კი ვერაფრით დავმშვიდდით და გაჩენილ კითხვასაც ვერაფრით ვპასუხობთ. იქნებ, თქვენ მაინც გვითხრათ რამე და გაგვანათლოთ:

– არშიყი ტრ...ზე კბენით, გაგიგიათ სადმე?!

*mainfun.ru*

## სკოტლანდ-იარდის მორიგეებს ახსნა-განმარტების დაწერა ტუალეტში გასვლის შემთხვევაშიც მოუწევთ



აბა, გაიხსენეთ, ბავშვობაში არ გქონიათ ხოლმე შემთხვევა, როცა მშობელი გაკვეთილების მომზადებას დაგავალებდათ, თქვენ კი ხან შიმშილს, ხან კი ტუალეტში გასვლას მოიმიზეზებდით, ოღონდ კი დრო გაგეყვანათ?

სწორედ ასე ყოფილან თურმე სკოტლანდ-იარდის ლონდონური ლამბეტის რაიონის განყოფილების მორიგეები, რომლებიც ოღონდაც სამსახურს მოშორდნენ, ხან რას იდებენ მიზეზად, ხან – რას. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მიზეზი კი სწორედ ტუალეტში გასვლა აღმოჩნდა და ხელმძღვანელობამაც პირობები გაამკაცრა – ამიერიდან, ნებისმიერი თანამშრომელი, რომელსაც ბუნებრივი მოთხოვნილება შეაწუხებს და საპირფარეშოში გასვლა მოუნდება, აღრიცხვის ჟურნალში უნდა ჩაწეროს, ხოლო, თუკი ვინმეს ვთქვათ, ფეხები გაუცივდება და „საჭირო ოთახში“ მალ-მალე გავა, მას ახსნა-განმარტებასაც დააწერინებენ.

მართალია, ამ ინიციატივამ სამართალდამცველები ძალიან გააღიზიანა, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ არის და...

*mainfun.ru*

## ლიმუზინის ნაცვლად... ექსკავატორი



– საპატარძლოს ფეხები არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეხებოდეს მიწას მისი სახლიდან იმ ადგილამდე, სადაც საზეიმო ცერემონია უნდა ჩატარდეს, – სწორედ ასეთია უძველესი ჩინური ტრადიცია და ჩვეულებრივ, სასიძოს თავისი რჩეული ავტომობილიდან ხელში აყვანილი გადმოჰყავს.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ამ ცოტა ხნის წინ, ერთმა წყვილმა დაქორწინების საკმაოზე მეტად ორიგინალური ხერხი აირჩია.

თურმე, იმის გამო, რომ სასიძო სატვირთო ავტომობილზე მუშაობდა, კოლეგებს შეუთავაზებიათ – შენს სატრფოსთან ერთად, გიგანტური ექსკავატორის კოვშში მოგათავსებთო.

საბოლოო ჯამში, ეს უჩვეულო იდეა სასიძოსაც დაუჯდა ჭკუაში და საპატარძლოსაც და თავიანთ ხელის მომკიდებთან ერთად, ისინი მართლაც უზარმაზარი ექსკავატორის კოვშში მოკალათდნენ. მმაჩის ბიუროში კი პირდაპირ ფანჯრიდან გადაძვრნენ – ტრადიციასაც არ უღალატეს და არა მხოლოდ ჩინეთის, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური წყვილის სახელი სრულიად სამართლიანად დაიმკვიდრეს.

სხვათა შორის, ამ ფაქტის შემდეგ, ჩინეთში გაიხსნა რამდენიმე სააგენტო, რომლებიც წყვილებს მრავალფეროვან წინადადებებს სთავაზობს. მაგალითად, სიძე ჯდება თეთრ ცხენზე და გულისსწორს ასე აკითხავს სახლში, ან კიდევ, იცვამს ესპანელი მაჩოსავით და მომავალ მეუღლესთან გიტარით „შეიარაღებული“ მიდის. თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგიერთი წყვილი ერთმანეთს ტანსაცმელსაც უცვლის და სიძე პატარძლის კაბით იწონებს თავს, პატარძალი კი შარვალ-კოსტიუმშია გამოკვართული...

და თქვენ როგორ ქორწილს ისურვებდით?..

*vesti.ru*

## უიღბლო შეყვარებულმა რჩეულის სახელი 10 მილიონჯერ დაწერა



ინდოეთში ამტკიცებენ, გაგებაში არ არის მსოფლიო, რას ნიშნავს ნამდვილი რომანტიკოსი და ეს საიდუმლო მხოლოდ ჩვენმა თანამემამულემ ამოხსნაო.

რამდენად შეიძლება ვინმე რანჩი კიშორ კუმარ გაბას რომანტიკოსი ვუწოდოთ, რთული სათქმელია და ეს თავადვე განსაჯეთ, ჩვენ კი იმას გეტყვით, რომ 1997 წლიდან მოყოლებული, ინდუსი „რომეო“ სადაც კი ფურცელს გადააწყდება, ყველას თავისი შეყვარებულის სახელს აწერს და თურმე, უკვე 10 მილიონამდე ასულა!

მართალია, ამ ადამიანის შეყვარებულის სახელი და გვარი არ ზუსტდება და პრინციპში, არც არის აუცილებელი, მაგრამ მთავარი ის გახლავთ, რომ ინდუს რომანტიკოსს უკვე ცოლიც ჰყოლია და შვილებიც, რომლებისგანაც მთლად საფეხბურთო გუნდი თუ არა, წყვილში მოთამაშე ჩოგბურთელები მაინც გამოუვა.

საქმე ისაა, რომ რანჩი კიშორ კუმარ გაბამ (მის სახელს მესამედ აღარ გავიმეორებთ!) ცოლი მშობლების სურვილით შეირთო, ადამიანი, რომელიც არასოდეს ყვარებია, ნამდვილი რჩეული კი სხვისი საბედო აღმოჩნდა.

ჰოდა, ზის ახლა ინდუსი და ნოსტალგიას ძველ სიყვარულზე წერით იკლავს... საწყალი...

– ჩემი ოჯახი პირველ ადგილზე დგას, მაგრამ წარსულს მაინც ვერ ვივიწყებ. მისი სახელის წერა 1997 წელს დავიწყე და სიცოცხლის ბოლომდე ასე გავაგრძელებ, – ამბობს გულდაკოდილი ინდუსი.

*factroom.ru*

## 8 წლის გერმანელმა 1700 ევრო ტკბილეულის შესაძენად მოიპარა



როგორ დაამშიეს მშობლებმა ისე საშინლად 8 წლის პატარა, რომ მან ტკბილეულის შესაძენად ფულის მოპარვაც კი გადაწყვიტა, რთული სათქმელია, თუმცა ზოგჯერ ბავშვებს ახასიათებთ ხოლმე ასეთი გამოხტომები და ყურადღების მიქცევაც დროზე სჭირდებათ.

როცა პატარა ავანტიურისტი ქალაქ ფირზენის ერთ-ერთ მაღაზიაში შესულა და 15 ევროს ღირებულების ტკბილეული შეურჩევია, გამყიდველი დაინტერესებულა, ჰქონდა თუ არა მას საჭირო თანხა. ბავშვს გულიანად გაუცინია და ჯიბიდან ფულის დასტები ამოუცურებია.

– არ შემეძლო, რომ პოლიციისთვის არ დამერეკა, – ასე იმართლა თავი გამყიდველმა, რომელმაც პატარას თავზე მაშინვე სამართალდამცველები დააყენა.

საბედნიეროდ, გერმანელ პოლიციელებს ეყოთ შეგნება და ბავშვი განყოფილებაში კი არა, სახლში მიიყვანეს და მომხდარის შესახებ მის მშობლებს აცნობეს.

როგორც გაირკვა, ტკბილეულის მოყვარულს ფული ყულაბიდან ამოუცლია, სადაც მისი მშობლები რემონტისთვის საჭირო თანხას აგროვებდნენ. პირის ჩატკბარუნებას კი იგი შეყვარებულთან ერთად აპირებდა, თუმცა, სამწუხაროდ, მიზანს ვერ მიაღწია...

*vk.com*

## მოტყუებული ქმარი ცოლის საყვარელთან შესახვედრად 30 კილო დინამიტით მივიდა



ვისაც არ უნდა ჰკითხოთ – რას ვერ აპატიებდი საყვარელ ადამიანსო, მაშინვე გიპასუხებთ – ღალატს და ტყუილსო...

ჰოდა, ზუსტად ასეთივე პასუხი ექნებოდა საფრანგეთის ქალაქ ლილის მკვიდრს, 59 წლის მამაკაცსაც, ვინმეს რომ აღნიშნული კითხვა დაესვა.

როგორც ირკვევა, მოტყუებულმა მამაკაცმა საკუთარი ცოლის საყვარელს ქალაქის ერთ-ერთ მიყრუებულ ადგილას შეხვედრა დაუთქვა და თან 30 კილოგრამი დინამიტი წაიყოლა.

სხვისი ცოლების მოყვარული ფრანგის სასიხარულოდ, საყვარლისა და ქმრის შეხვედრის შესახებ ცოლმა თავის დროზე შეიტყო და ყოველი შემთხვევისთვის, პოლიცია საქმის კურსში ჩააყენა.

სამართალდამცველებმაც დიდი გონიერება გამოიჩინეს და დათქმულ ადგილას მისული ქმარი გაჩხრიკეს. ჰოდა, 30 კილოგრამ დინამიტთან ერთად, მას დეტონატორები, მავთულები და 30 ლიტრი საწვავიც აღმოუჩინეს.

ღალატისგან გადარეული ქმარი ცოლის საყვარლის მთელი მოდგმის ამოწყვეტას თუ აპირებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი რაოდენობის ასაფეთქებელი მოწყობილობა ფუჭად გახარჯული იქნებოდა.

ასეა თუ ისე, ქმარი დაკავებულია და მკვლელობის მცდელობა ედება ბრალად, რაც შეეხება მის მეუღლეს, „ცოლი წავიდა სხვისასა“...

*factroom.ru*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



1. ზოდიაქოს ნიშანი
2. მოკლე კაბა
3. წერტილოვანი პიგმენტი კანზე
4. ნილოსის რეპტილია
5. მსახიობი დონატას ...
6. მულტიპლიკატორი, ანუ ...
7. კომპოზიტორი ენიო ...
8. ტომ სოიერი და ჰეკლბერი ...
9. რეჟისორი ლეონიდ ...
10. სახელმწიფო აფრიკაში
11. „ვიი“ ავტორი
12. რეჟისორი ... ვან სენტი
13. ძაღლის ნაშიერი
14. კერძების მომზადების ხელოვნება
15. მსახიობი კერკ ...
16. სათვალე ერთი ყურით
17. სოფოკლეს ტრაგედია
18. კომიკოსი ... ჰილი
19. მწნილი
20. წლოვანება
21. ბელორუსიის დედაქალაქი
22. ყინვაგამძლე სითხე
23. მხატვარი ამედეო ...
24. ქუჩა ნიუ-იორკში ...-სტრიტი
25. ფულის ერთეული ძველ ჩინეთში
26. გაზი, ანუ ...
27. უკრაინული ცეკვა
28. რეჟისორი ... პარკერი
29. სისხლნაკლე-ბობა
30. ... დაიჭირავს სიკვდილსა
31. მხ/ფ „ნეილონის ნაძვის ...“
32. ნივთიერება. აირს აძლევს სუნს
33. ანტილოპას სახეობა
34. სახელმწ. ცენტრ. ამერიკაში
35. „წყნარი დონი“ ავტორი
36. ... ნიკულინი
37. ქალაქი იტალიაში
38. სიმღერა აივნის ქვეშ
39. უნგრელი კომპოზიტორი
40. სხივი. ჭრის ლითონს
41. ლონდონის საქმიანი ცენტრი
42. გამხმარი ხილი
43. პატარა ტანის მტაცებ. ცხოველი
44. კარტოფილის კერძი
45. მსახიობი მეგ ...
46. კურორტი სამკურნ. ტალახით
47. თათარაში ამოვლებული ნიგოზი
48. აპლოდისმენტი
49. სომხეთის ძველი დედაქალაქი
50. მაღაზიის გამყიდველი
51. მაღალმთიანი სოფელი დაღესტანში
52. ახალუხზე ჩასაც-მელი
53. მშვილდით სასროლი ჯოხი
54. ქალაქი საფრანგეთში
55. პიპინიას ვაჟი
56. პატარა მღრღნელი ცხოველი
57. ჭირი იქა, ლხინი ...
58. ნიშნავს საწინააღმდეგოს
59. ფეხბურთელი რეზი ...
60. ფრანგი განმანათლებელი
61. ... პეიერდალი
62. თხელი ტალახი
63. საბჭოთა მწვერავი რიჰარდ ...
64. „მატრიცა“ პერსონაჟი
65. მხატვარი ... გრეკო
66. ზევსის მერიქიფე ბიჭი
67. ცული
68. ქალაქი იტალიაში
69. ზუთხის დამარილებული გვერდი
70. რუსი ილუზიონისტი
71. ჭია ვაშლში
72. გამის ნოტი
73. ძვირფასი წითელი ქვა
74. მხატვარი სალვადორ ...
75. ... სუხიშვილი
76. ... ჰო, ... არა
77. სპექტაკლი „... ავი ძაღლია“
78. ლაშქარი
79. „წითელი და შავი“ ავტორი
80. ლითონი
81. წიგნი ფოტოსურათებისთვის
82. ყურძნის ჯიში
83. ძროხის ნაშიერი
84. ინდუიზმის ღვთაება
85. ერთაოზის მამა (ფილმ.)
86. წყლის მოლუსკი
87. მდინარე ჩრდ. ამერიკ.
88. ტყის ყაყაჩო
89. დაღაჩაღება, ანუ ...
90. ... აღმართს ხნავს
91. თეატრალური განცხადება
92. მხატვარი დავით ...
93. უფრთო ფრინველი
94. კედლის შანდალი
95. ძვ. ბერძენი მეიგავე
96. სამეგრელოს ცეკვა
97. ყვავილი
98. ქურციკი, ანუ ...
99. პოეტი ... ბარტო
100. მსახიობი ჟერარ ...
101. ზამბახი
102. უჯრედშორისი სითხე
103. პატარა სასაცილო ამბავი
104. იაპონური მულტიპლიკაცია
105. ბოსტნეული
106. მდინარე გერმანიაში
107. მსახიობი ... ჰაიეკი
108. ვაშლის ღვინო
109. სამშენებლო მასალა
110. ჭირვეული სურვილი
111. მსახიობი კიანუ ...
112. გრძელი კბილი
113. ... პოპესკუ გოპო
114. ნამუსი
115. მხ/ფ „ზოლიანი ...“
116. სამყაროს შავი სივრცე
117. სიმინდის ფქვილის კვერი
118. კომპოზიტორი ... კალმანი
119. მევიოლინე ვანესა ...
120. მსახიობი ... სტრიპი
121. ბავშვის კბილი
122. ჟურნალისტი ... გრიგოლია
123. ნაბიჯი ბალეტში
124. მარგალიტის წარმომქმნელი ფენა
125. ვაგზალი, ანუ ...
126. ჭრილობა
127. მსახიობი ... საზერლენდი
128. ურდული
129. ხორცის კერძი
130. გულიანი ნამცხვარი
131. ტენორი ბენიამინო ...
132. ჩილეს დედაქალაქი
133. მდინარე იტალიაში
134. ... ბრედბერი
135. ვერტიკალურად დადგმული სვეტი, რომლის ჩრდილითაც დრო იზომებოდა
136. ნავთის ძველებური სანათი
137. სახელმწიფო აზიაში
138. კარგად მოსიარულე ცხენი
139. მზის ღმერთი ეგვიპტეში
140. თოკებით მოწნული საწოლი
141. კომპოზიტორი ჯუზეპე ...
142. 3,14
143. ნადირობა აფრიკაში
144. ყელსაბამი
145. ამერიკის უკიდურესი სამხ. კონცხი
146. ტროპიკული ბუზი
147. მსახიობი ... დელონი
148. „შენ ... ვენახი“
149. აიროების ნარევი, რომლითაც ვსუნთქავთ
150. ეშმაკი, ანუ ...
151. მწერალი ტომას ... რიდი
152. მეფე არტური: მრგვალი ...
153. თვითმფრინავების სადგომი
154. მომავლის რწმენა
155. „აბესალომ და ...“
156. კრილოვი. „მგელი და ...“
157. ცხვრის ჯოგი
158. საგალობელი „...-მარია“
159. ცხიმი რძის თავზე
160. მსახიობი ... აბაშიძე
161. ალამი
162. მსახიობი ვივიენ ...
163. ჩინეთის დიდი ...
164. ქალაქი რაჭაში
165. ადამისა და ევას შვილი
166. წყალქვეშა კლდე
167. მტაცებელი ფრინველი
168. პურის სოკო
169. მთათა სისტემა ...-შანი



რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ძველი ხელნაწერი
2. კაცუნა ზურგზე პროპელერით
3. კოლექტიური მეურნეობის ფორმა
4. გემი ორი კორპუსით
5. ... მოგივა დავითაო
6. ბრაზილიური ცეკვა
7. რუსი მხატვარი
8. ნიშნავს საწინააღმდეგოს
9. ზღვის ცხოველი ხვეტიანი ცხვირით
10. ქალაქ ოზურგეთის უბანი
11. სამშენებლო მასალა
12. სამშენებლო მასალა
13. რეჟისორი ... პარკერი
14. მარცვლოვანი მცენარე
15. რუსი ილუზიონისტი
16. ცხენების ჯოგი
17. მეჩეთი ...-სოფია
18. სია
19. მომღერალი ჯასტინ ...
20. მხარე საქართველოში
21. ძმებ ვაჩოვსკების ფილმი
22. ძაღლის ჯიში ...-პინჩერი
23. ქალაქი დას. საქართ.
24. მსახიობი ... დიტრიხი
25. ყველაზე მაღალი მთა
26. უსაფუძვლოდ გამომცხვარი პური
27. პერსონა ...-გრატა
28. პაკისტანის დედაქალაქი
29. მუზების მფარველი ღმერთი
30. ზამბახი
31. მხ/ფ „... ვიღაც იჯდა“
32. იუველირი
33. მსახიობი ჯულია ...
34. ქალაქი ქვემო ქართლში
35. ქალაქი ყირიმზე
36. მევიოლინე ვანესა ...
37. ავტორბოლა
38. დიუმა. „დედოფალი ...“
39. მერიმე. „... ფალკონე“
40. ტროპიკული ბუზი
41. ნორმალურიდან გადახრა
42. ... აბრაამის ბატკანი
43. „გრაფი ...-კრისტო“
44. მსახიობი ... როტი
45. შხამი. ამზადებენ ინდიელები
46. უმაღლესი ხარისხის მინა
47. ქალაქი მარო-კოში
48. პოეტი ვლადიმერ ...
49. მომღერალი ... ჯოხაძე
50. მომღერალი ... კუტუნიო
51. მსახიობი შონ ...
52. ნეტარ ... მორწმუნენი
53. ქორეოგრაფი ... ლიეპა
54. სპორტ. ინვენტ. ფირმა
55. შვედური ხურდა ფული
56. მზარეული გემზე
57. მხ/ფ „... კბილი“
58. გამოუწვავი აგური
59. უპიგმენტო ადამიანი
60. მსახიობი ბარბარა ...
61. პოლიტიკოსი ინდირა ...
62. რუსი პოეტი
63. ... ფოიხტვანგერი
64. ორგანიზმი ვაშლში
65. ცურვა დინების მიყოლებით
66. პიანინო, ანუ ...
67. კომპოზიტორი ჯუზეპე ...
68. მისი დედაქალაქია რომი
69. ხელოვნური ვარცხნილობა
70. სპილოს ცხვირი
71. ჟამი
72. კომპოზიტორი მორის ...
73. მსახიობი სილვესტერ ...
74. უმაღლესი სპორტ. მიღწევა
75. მხატვარი ალბრეხტ ...
76. ამერიკული ავტომობილი
77. ცხოველი. იცვლის ფერს
78. მწვანე ადგილი უდაბნოში
79. მსახ. ... ბანიონისი
80. ხრახნი
81. ძვირფასი ლითონი
82. მსახ. ... როკ ჯონსონი
83. ცეკვა მულენრუჟში
84. პოლონეთის ძველი დედაქალაქი
85. რეზინის ფეხსაცმელი
86. სიახლე ჩაცმულობაში
87. ჩეხეთის დედაქალაქი
88. ... ქრის და ... კერავს
89. იაპონური ფულის ერთეული
90. ყაზახეთის დედაქალაქი
91. ქალაქი რაჭაში
92. მასწავლებელი
93. საბჭოთა მზვერავი რიჰარდ ...
94. მწერი სამზარეულოში
95. მწვერვალი კავკასიონზე
96. თევზი ელექტრული მუხტით
97. ბეკარი, ბემოლი, ...
98. ქვის მაღალი ღობე
99. კუნძული იაპონიაში
100. ...-ანჯელესი
101. ლიტ. ნაწარმ. შესავალი ნაწილი
102. ადგილი სანეზე
103. პოეტი ... კალანდაძე
104. მტაცებელი სავანაში
105. ნაცია
106. ყურძნის შაქარი
107. საწვიმარი ლაბადა
108. მისი დედაქალაქია პრიშტინა
109. მსახიობი ... ემე
110. ქალაქი დას. საქართ.
111. ქალაქი საფრანგეთში
112. „ვიი“ ავტორი
113. მეტამორფოზის ბოლო სტადია
114. მსახიობი ... დე ფიუნესი
115. მხატვარი პოლ ...
116. სპორტ. ინვენტ. ფირმა
117. რეჟისორი ... ლურმანი
118. გულსაბნევი
119. „მატრიცა“ ჰაკერი
120. მომღერალი ალანის ...
121. კონტინენტი
122. მგალობელი ფრინველი
123. ფეხბურთის მატჩის ნახევარი
124. ომის ღმერთი ბერძ.მით.
125. მსახ. ... მაკგრეგორი
126. ავტობუსის წინაპარი
127. მსახიობი ... ჯაგერი
128. სასწავლო დაწესებულება
129. კომპოზიტორი ედვარდ ...
130. მეცნიერება ცხოველებ. შესახებ
131. მეცნიერი მიხეილ ...
132. მესია ... ქრისტე
133. ... შეიქმს სიყვარულსა
134. ღმერთი სკანდ. მითებში
135. მსახიობი ... ვარდალოსი
136. მსახიობი ... ჰილი
137. მერიის შენობა ევროპ. ქვეყნებ.
138. პარფიუმ ფირმა „...-პარი“
139. კოლას ცოლი, რომელიც პირველ ქმარსკიას გლოვობდა
140. ვარსკვლავის წვეტი
141. დიდი სამხედრო შენაერთი
142. ბრედ პიტი ფილმში
143. ... ფონ ბისმარკი

პასუხები: 1. მანუსკრიპტი; 2. კარლსონი; 3. კოლმეურნეობა; 4. კატამარანი; 5. რაც; 6. სამბა; 7. რერიხი; 8. ანტი; 9. ნარვალი; 10. ანასეული; 11. კირი; 12. ცემენტი; 13. ალან; 14. ბრინჯი; 15. კიო; 16. რემა; 17. აია; 18. რეესტრი; 19. ტიმ; 20. იმერეთი; 21. „მატრიცა“; 22. დობერმან; 23. სამტრედია; 24. მარლენ; 25. ევერესტი; 26. ხმიადი; 27. ნონ; 28. ისლამაბადი; 29. აპოლონი; 30. ირისი; 31. მაცივარში; 32. ოქრომჭედელი; 33. ორმონდი; 34. ბოლნისი; 35. სევასტოპოლი; 36. მეი; 37. რალი; 38. მარგო; 39. მატეო; 40. ცეცე; 41. ანომალია; 42. მამა; 43. მონტე; 44. ტიმ; 45. კურარე; 46. ბროლი; 47. კასაბლანკა; 48. მაიაკოვსკი; 49. ანრი; 50. ტოტო; 51. კონერი; 52. არიან; 53. მარის; 54. „ადიდასი“; 55. ერე; 56. კოკი; 57. ზვიგენის; 58. ალიზი; 59. ალბინოსი; 60. ბრილსკა; 61. განდი; 62. ბლოკი; 67. ვერდი; 68. იტალია; 69. პარიკი; 70. ხორთუმი; 71. დრო; 72. რაველი; 73. სტალონე; 74. რეკორდი; 75. დიურერი; 76. კადილაკი; 77. ქამელეონი; 78. ოაზისი; 79. დინატას; 80. ვინტი; 81. ოქრო; 82. დუეინ; 83. კანკანი; 84. კრაკოვი; 85. კალოში; 86. მოდა; 87. პრაღა; 88. თან; 89. იენა; 90. ასტანა; 91. ონი; 92. პედაგოგი; 93. ზორგე; 94. ტარაკანი; 95. იალბუზი; 96. სკატი; 97. დიეზი; 98. გალავანი; 99. ოკინავა; 100. ლოს; 101. პროლოგი; 102. ნიკაპი; 103. ანა; 104. ლომი; 105. ერი; 106. გლუკოზა; 107. მაკინტოში; 108. კოსოვო; 109. ანუკ; 110. ვანი; 111. ნანტი; 112. გოგოლი; 113. იმაგო; 114. ლუი; 115. გოგენი; 116. „ნაიკი“; 117. ბაზ; 118. ბროში; 119. ნეო; 120. მორისეტი; 121. აზია; 122. ტოროლა; 123. ტაიმი; 124. არესი; 125, ევან; 126. ომნიბუსი; 127. მიკ; 128. სკოლა; 129. გრიგი; 130. ზოოლოგია; 131. ლომონოსოვი; 132. იესო; 133. შიში; 134. ლოკი; 135. ნია; 136. ბენი; 137. რატუშა; 138. ისი; 139. ანიკო; 140. ქიმი; 141. არმია; 142. „ტროა“; 143. ოტო. იკითხება: უილ სმიტი.

# მსოფლიოს ყველაზე საშიში და საშინელი ადგილები

არსებობენ ადამიანები, რომლებიც მძაფრი შეგრძნებების გამოსაცდელად სოლიდური თანხების გაღებასაც არ იშურებენ, ზოგიერთებს კი ურჩევნიათ, მშვიდად იცხოვრონ და დამატებითი სანერვიულო თუნდაც ისეთი ადგილების ხილვით არ გაიჩინონ, რომლებიც მსოფლიოში ყველაზე საშიშად არის აღიარებული.

თურმე, ეს ადგილები იმდენად შემაძრწუნებელი ყოფილა, რომ ხშირად, ყველაზე გაბედულებიც კი უკან მოუხედავად გარბიან და იქ დაბრუნების სურვილი აღარასოდეს უჩნდებათ.

მაშ ასე, თქვენს წინაშეა მსოფლიოში ყველაზე საშიში და საშინელი ადგილები, ერთი მეორეზე უფრო შემზარავი და ძარღვებში სისხლის გამყინავი:

## 1. მიუტერის სამედიცინო ისტორიის მუზეუმი ფილადელფიაში

მიუტერის სამედიცინო მუზეუმი – ეს არის მუზეუმი, რომელშიც ინახება უძველესი დროიდან მოყოლებული გამოვლენილი ანომალიების ამსახველი როგორც ფოტო და ვიდეო, ისე ბიოლოგიური ექსპონატები.

ყველაზე მეტად, ამ მუზეუმმა სახელი ჩონჩხების უზარმაზარი კოლექციით



მიუტერის სამედიცინო ისტორიის მუზეუმი

გაითქვა, თუმცა არანაკლებ ნეგატიურ ემოციებს აღძრავს სხვადასხვა მოურჩენელი სენით დაავადებული ადამიანების ფოტოები და ასევე, ცვილის ფიგურები. მაგალითად, სიამის ტყუპების ფიგურა, ორთავიანი ბავშვის ჩონჩხი და ასე შემდეგ.

## 2. ჯადოქრების ბაზრობა მეხიკოში, მექსიკა

ჯერ კიდევ არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ალქაჯების, ჯადობაზების, მჩხიბავებისა და მათნაირების არსებობა ღრმად სწამს და მეტიც, არსებობენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც შავ მაგიას კვლავ მისდევენ. სწორედ ამის ნათელი გამოხატულებაა მექსიკის დედაქალაქში ცნობილი ჯადოქრების ბაზრობა, სადაც იქაური ალქაჯები (სწორედ ასე უწოდებენ ისინი თავიანთ თავს), სულ რაღაც, 10 დოლარის სანაცვლოდ, ტურისტებს ჯადოს მოხსნას ან ვინმეს დაწყევლას სთავაზობენ. გარდა ამისა, ბაზრობაზე იყიდება გაურკვეველი მიზნებით ნაწამები ცხოველების, ასევე, ბაყაყებისა და გარეული ფრინველების ფიტულები.

სხვათა შორის, მექსიკაში შავი მაგია არ იკრძალება და იქაურებს მექსიკის ჯადოქრების ნაციონალური ასოციაციაც ჰქონიათ დაფუძნებული.

## 3. აღდგომის კუნძული, ჩილე



აღდგომის კუნძული, ჩილე

მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე იდუმალებით მოცული ადგილი აღდგომის კუნძულია, სადაც უზარმაზარ ლოდებში გამოკვეთილი ფიგურები ათასწლეულებია, მიწის წიაღთან არიან შერწყმულები. ქვებში გამოკვეთილი არსებების თვალები ზეცისკენ ყოფილა მიპყრობილი, თითოს, რაღაც მისტიკურ დანაშაულებს ინანიებენო. სამწუხაროდ, მხოლოდ მათთვისაა ცნობილი, სად წავიდნენ და დაიკარგნენ ის ადამიანები, რომლებმაც ფიგურები კუნძულზე განალაგეს.

აღდგომის კუნძულის „ბინადრების" სიმაღლე 21 მეტრამდე აღწევს, წონა კი დაახლოებით 90 ტონაა.

დღეისთვის, კუნძულზე, სადაც ერთ დროს ყოვლისშემძლე ცივილიზაცია ვითარდებოდა, სიცოცხლე თითქმის მინავლებულია და არავინ იცის, საიდან გაჩნდნენ იდუმალი ქვის მთლელები და სად გადაიკარგნენ.



მანჩაკის ჭაობი ლუიზიანაში

## 4. მანჩაკის ჭაობი ლუიზიანაში

ჭაობში ნავით შესულ ტურისტებს გარს აკრავს უძველესი კვიპაროსები, თუმცა მთავარი ის არის, რომ იქ მუდმივად ისმის გაურკვეველი ხმები, კივილი, ყმუილი, თითქოს, ჯოჯოხეთის კარი ყოფილიყოს გახსნილი.

მანჩაკის ჭაობს მეორე ვერსიით, მოჩვენებების ჭაობსაც უწოდებენ.

ასე ამბობენ, ჭაობი ვუდუს დედოფალმა დაწყევლა და იქაურობა სწორედ ამის შემდეგ შეცვლილა – უეცრად მოვარდნილ ქარბორბალას სამი სოფელი გაუსწორებია მიწასთან.

დღეისთვის, მანჩაკის ჭაობის „იდილიას", უეცრად ამოტივტივებული გვამები არღვევენ, რომლებსაც იქვე მობინადრე ნიანგები, რატომღაც, ახლოსაც არ ეკარებიან.

## 5. პარიზის კატაკომბები, საფრანგეთი

ძვლები და თავის ქალები კედლის ორივე მხარესაა გამოფენილი, თითქოს, გასაყიდად გამზადებული ნაწარმი იყოსო... ჰაერი ძალიან მშრალია და მხოლოდ ხორცის ხრწნაზე მიანიშნებს...

კედლებზე უამრავ წარწერასაც აღმოაჩენთ, რომლებიც XVIII საუკუნის დასასრულს, საფრანგეთის რევოლუციის პერიოდშია დატანილი.



ჩერნობილი, უკრაინა

კატაკომბების სიგრძე დაახლოებით 187 კილომეტრია, თუმცა დამთვალიერებლებისთვის მხოლოდ მისი უმნიშვნელო ნაწილია გახსნილი.

ამბობენ, დანარჩენ ტერიტორიას ლეგენდარული მიწისქვეშა პოლიცია აკონტროლებსო, თუმცა ამას უფრო მიცვალებულების ლეგიონები უნდა აკეთებდნენ, ან ვამპირები, ვინ იცის... იქ ხომ კარიერები რომაელების დროიდან არსებობს, ხოლო შემდეგ, როცა პარიზის სასაფლაოები გადაივსო, 1785 წლიდან გვირაბი გახდა ისეთი, როგორიც ის დღეს არის...

## 6. მერი კინგის ჩიხი ედინბურგში

შემზარავი წარსულის მქონე რამდენიმე ქუჩა ედინბურგში, ადგილი, სადაც XVII საუკუნეში, შავი ჭირით დაავადებულებს ყრიდნენ, როცა ისინი ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ.

ჩიხი ცნობილია იმით, რომ იქ მისულ ტურისტებს უხილავი არსებები ეხებიან, უკივიან, ეჯახებიან.

მთავარია, მერი კინგის ჩიხში შესული, არ შეჩერდეთ, როცა სიკვდილის ყინულივით ცივ სუნთქვას იგრძნობთ და ხელზე უხილავი არსება შეგეხებათ...

## 7. ჩერნობილი, უკრაინა

იმედია, მთლიანად უკრაინა არ იქცევა რუსეთის გამო ერთ-ერთ ყველაზე საშინელ ადგილად, მანამდე კი ამ სტატუსს ცნობილი და შემზარავი ტრაგედიის ადგილი ინარჩუნებს – ჩერნობილში ჩასული ტურისტები მარტოობის საშინელი გრძნობით იმსჭვალებიან.

იქ ყველა ნივთი ნაჩქარევადაა მიტოვებული და ყველაფერს კვლავ 1986 წლის აპრილის სუნი დაჰკრავს – სახლების კარები კვლავაც ღიაა, სამზარეულოს მაგიდაზე წასაკითხად გადაშლილი გაზეთის ნაგლეჯებია მოფანტული, საბავშვო მოედნებზე საქანელებს ქარი არწევს.

***factroom.ru***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



– ამას წინათ სახლში მისულს ცოლი კარში გამომეგება, სექსუალური საცვლები ეცვა, მაცდურად მიღიმოდა. მერე გამჭოლი მზერა მესროლა, თოკი მომაწოდა და ვნებიანი ხმით მითხრა:

– დამაბი და როგორც გაგიხარდება, ისე მოიქეცი!

...დავაბი და სათევზაოდ წავედი...

*****

– თუ დედა მიიჩნევს, რომ ბევრს ჭამთ და ძალიან დიდხანს გძინავთ, ის დედათქვენი არ არის, ის თქვენი ქმრის დედაა!..

*****

– ოფიციანტო, რომელ ღვინოს მირჩევთ, თქვენს საფირმო კერძს რომ მივაყოლოთ – მშრალს თუ ნახევრად მშრალს?

– ქალბატონთან ერთად ხართ?

– რა თქმა უნდა!

– რომელთან, ახლა რომ ადგა საცეკვაოდ?

– დიახ...

– მაშინ, არაყი შეუკვეთეთ!

*****

ტელეფონში ქალის განაზებული ხმა ისმის:

– კოტიკ, ჩემი დებილი ქმარი ორი კვირით მივლინებაში წაეთრა. როგორც კი განთავისუფლდები, ეგრევე ჩემთან მოქანდი... უი, უკაცრავად, მგონი, ნომერი შემეშალა...

– პრობლემა არ არის, ქალბატონო, მიკარნახეთ მისამართი!

*****

ცოლი ქმარს:

– ადე, კაცო, გაიუთოვე პერანგი, თორემ ხალხი იფიქრებს, ცოლი ყურადღებას არ აქცევსო...

*****



მძღოლი „გაიშნიკს" აღშფოთებული მიმართავს:

– ჰო, მაგრამ ამხანაგო სერჟანტო, აქ ხომ არის მარჯვნივ შესახვევი?

– არის, მაგრამ ფასიანია!

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები***

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## გეიბარიდან ლესბოსელი სულ კინწისკვრით გამოაგდეს



მორიგი უჩვეულო და სულელური სარჩელის განხილვა უწევს ამერიკულ სასამართლოს, რომელიც ნიუ-იორკელმა ლესბოსელმა იქაური გეი-ბარის წინააღმდეგ მოამზადა.

თურმე, ნიუ-იორკის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ გეი-ბარში კრისტი ადამსი თავის პარტნიორთან ერთად შესულა, თუმცა როგორც კი „მასპინძლებმა" „ქალის სურნელი" იყნოსეს, დაცვას დაუპატიჟებელი სტუმრების გაყრა უბრძანეს, რაც ზედმიწევნით ზუსტად შესრულდა კიდეც.

– იმისთვის ნამდვილად არ ვიბრძოდით წლების განმავლობაში, რომ ახლა ერთმანეთის უფლებები ჩვენვე დავარღვიოთ, – გაწიწმატებულა ამერიკელი ლესბოსელი, თითქოს, მეორე მსოფლიო ომის დამსახურებული ვეტერანი იყოს.

რაც შეეხება გეიბარის მფლობელს პიტერ გორდონს, ის განმარტავს, რომ მის დაწესებულებაში მამაკაცები შიშვლები დადიან, რამაც შეიძლება ლესბოსელების უკმაყოფილება გამოიწვიოს და გონებაც კი დააკარგვინოს.

– იყო ერთი შემთხვევა, როცა ჩვენს ბარში შემოსულ ლესბოსელს, შიშველი მამაკაცების დანახვაზე ზიზღისგან გული წაუვიდა. ამ ინციდენტის შემდეგ, მათ მომსახურებაზე ხელი ავიღეთ, – ასე იმართლებს თავს ორიენტაციაშერყეული ამერიკელი.

აი, ასეთი გაუგებრობებიც ხდება თურმე, ჰომოსექსუალებს შორის, რაც საბოლოო ჯამში, კაცობრიობას სიკეთეს ნამდვილად არ მოუტანს. თუმცა უმჯობესია, ისევ თავადვე გაუსწორდნენ ერთმანეთს.

*mainfun.ru*

## ბიბლიის შესწავლას, მოზარდები... ბანქოს დახმარებით შეძლებენ



არც ისე დიდი ხანია, რაც ინგლისის მაღაზიებში იქაური ბავშვებისთვის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი გასართობის „ტოპ ტრამპსის" ახალი, ქრისტიანული ვერსიის გაყიდვები დაიწყო, რომელიც ბანქოს მსგავს ქაღალდზეა დაბეჭდილი და რომელიც მოზარდებს ბიბლიის პერსონაჟებსა და ქრისტიანულ ფასეულობებს შეასწავლის. ყოველ შემთხვევაში, ასეთია ბანქოს მწარმოებლების ჩანაფიქრი.

როგორც ირკვევა, დასტაში სულ 35 ბანქოა და ზოგიერთ მათგანზე დახატულია, მაგალითად, ძველი აღთქმის პერსონაჟი მოსე.

გარდა ამისა, ბრიტანელი ბავშვები გაეცნობიან პარიკმახერის სტილში გამოწყობილ დალილას, რომელმაც გადმოცემის თანახმად, სამსონს თმები მოაჭრა და ამით მას ძალა წაართვა. მოზარდები ასევე იხილავენ განგსტერად „ქცეულ" ეგვიპტის ფარაონს, რომელმაც ებრაელი ხალხი დაიმონა და ასე შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ მოზარდებისთვის ბიბლიის გაცნობის ეს უჩვეულო მეთოდი უკვე მოიწონა არა მხოლოდ ბრიტანულმა საზოგადოებამ, არამედ ეკლესიამაც. ინგლისელი სასულიერო პირები მიიჩნევენ, რომ „ასეთი ინტერპრეტაცია ბიბლიური პერსონაჟების უკვდავობის შესანიშნავი მაგალითია".

*factroom.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

გაზეთი ალია

სამუშაოდ იწვევს სააგენტოების ინფორმაციებზე მუშაობის გამოცდილების მქონე ჟურნალისტს. ანაზღაურება 800 ლარი.

ასევე, გამოცდილ ჟურნალისტებს.

ტელეფონი: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი 15 სთ-დან

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**14 მარტი:** ეს დღე შეიძლება თქვენს ცხოვრებაში გარდამტეხი გახდეს. რა გზით და როგორ გააგრძელებთ ცხოვრებას, თქვენი გადასაწყვეტია.

**კურო 22.04-21.05**

**14 მარტი:** არ გაგიკვირდეთ, თუკი დღეს თქვენი ოცნებების ასრულება დაიწყება. მთავარია, ირწმუნოთ, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

**ტყუპები 22.05-21.06**

**14 მარტი:** თუ დღეს ვინმეს გაშაყირებას გადაწყვეტთ, შეეცადეთ, ეს ისე გააკეთოთ, რომ „მსხვერპლმა" ვერ გაიგოს, ვინ გააშაყირა, თორემ უსიამოვნებას ვერ ასცდებით.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**14 მარტი:** დღეს ყველაფერი ისე არ იქნება, როგორც დაგეგმეთ, უფრო, პირიქით მოხდება. ამისთვის წინასწარ მოემზადეთ, შეატრიალეთ გეგმები და წარმატებას მიაღწევთ.

**ლომი 23.07-22.08**

**14 მარტი:** დღეს იმდენად ბევრი შეხვედრა და კონტაქტი გექნებათ, შეიძლება ინანოთ, რომ ლოგინიდან ადექით.

**ქალწული 23.08-22.09**

**14 მარტი:** ეს დღე უმჯობესია, იმისთვის გამოიყენოთ, რომ ვითარებასთან ადაპტაცია მოახერხოთ, რადგან, როგორც არ უნდა მოინდომოთ, ვერაფერს შეცვლით.

**სასწორი 23.09-22.10**

**14 მარტი:** შეეცადეთ, ხალხმრავალ ადგილებს მოერიდოთ. შეიძლება გაუთვალისწინებელი რამ მოხდეს. გახსოვდეთ, სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

**მორიელი 23.10-21.11**

**14 მარტი:** ეს დღე იმ ადამიანთან ერთად დაიწყეთ, ვისთან ყოფნაც გსიამოვნებთ. შეიძლება ერთობლივად მოგივიდეთ იდეა, რომლის განხორციელებაც წარმატებას მოგიტანთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**14 მარტი:** დღის დასაწყისი რაოდენ მოსაწყენიც არ უნდა მოგეჩვენოთ, ძალიან ბევრს იმხიარულებთ. თქვენს წინაშე დღეს ნებისმიერი კარი გაიღება.

**თხის რქა 22.12-19.01**

**14 მარტი:** დღეს იმ შემთხვევაში გაგიმართლებთ, თუკი მაქსიმალურად ყურადღებით იქნებით და რასაც გეტყვიან, იმაში ფარულ მინიშნებებს აღმოაჩენთ.

**მერწყული 20.01-18.02**

**14 მარტი:** ბევრი რამ, რაც თქვენი პირადი გეგონათ, შეიძლება საზოგადოებისთვის ცნობილი გახდეს. ამიტომ, შეეცადეთ, ზედმეტები არ ილაპარაკოთ.

**თევზები 19.02-20.03**

**14 მარტი:** თქვენ მიმართ დღეს კეთილგანწყობილი იქნებიან ის ადამიანები, ვისაც საფუძვლიანად არ იცნობთ. ახლობლები კი დიდ სიხარულს არ მოგანიჭებენ.

## მიუნხენელი „ხელოვანი" სამკაულებს... საჯდომისგან აკეთებს



ჩვენც ზუსტად ისე განგვაცვიფრა ამ ამბავმა, როგორც თქვენ და ახლავე გაგარკვევთ ყველაფერში:

თურმე, მიუნხენელ არტმხატვარს, შტეფან ჰოიზერს საკუთარი თავის გამოჩენის სურვილმა იმდენად შეუჩიჩხინა, რომ ადგა და ისეთი რამ მოიფიქრა, რაც ადამიანის ფანტაზიებს ნამდვილად ძალიან შორს სცილდება.

როგორც ირკვევა, შტეფან ჰოიზერი სამკაულებს იმ ცხიმისგან ამზადებს, რომელსაც (თავადვე ან მისი დამხმარეები, არ ვიცით ზუსტად) ადამიანის საჯდომისგან იღებს.

ამ ძალიან უჩვეულო და ამასთანავე, ამაზრზენი ჰობის მქონე მხატვარი აღიარებს, რომ სამკაულების საჯდომის ცხიმისგან დამზადების უეცარი იდეა მიუნხენის ერთ-ერთი უმსხვილესი მუზეუმის კურატორს ეკუთვნოდა, რომელმაც გარკვეული პერიოდის წინ მის ხელზე მაგნიტისგან დამზადებული ბეჭედი დაინახა და გაკვირვებულმა წამოიძახა:

– ისღა გაკლია, სამკაულების კეთება საჯდომისგან დაიწყო...

გერმანული მედიის ინფორმაციით, შტეფან ჰოიზერი თურმე, მუზეუმის კურატორის სიტყვების გაგონებისთანავე უახლოეს კლინიკაში გაქცეულა და სამკაულებისთვის „ესოდენ საჭირო მასალა" მოუთხოვია.

„ჭეშმარიტი ხელოვნების" სახელით, ექიმებს მისთვის უარი არ უთქვამთ, მით უმეტეს, რომ ლიპოსაქციის შემდეგ, ცხიმს ნაგავში უშვებდნენ და აი, ასე გამოიჩეკა 21-ე საუკუნის საჯდომების ოსტატი – 30 წლის შტეფან ჰოიზერი.

– მინდა, რომ ადამიანებს სილამაზე ვაჩუქო და ვაკეთებ იმ საქმეს, რაც ძალიან მიყვარს, – ამბობს 21-ე საუკუნის საჯდომების ოსტატი, ჩვენ კი რაღაც, ძალიან შეუძლოდ ვგრძნობთ თავს და ვიდრე რამე მარცხი მოგვსვლია, ამ ამბავზე წერას თავი უნდა დავანებოთ.

დასასრულ, ბარემ იმასაც გეტყვით, რომ მედალიონი, რომლის ფოტოსაც აქვე გთავაზობთ, ოქროთი და საჯდომის ცხიმისგანაა დამზადებული და ის 4 ათასი ევრო ღირს – ჯაჭვი ოქროსია, ის მრგვალი რაღაც კი...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*etotupo.ru*



– მამიკო, მამიკო, გაიხედე ფანჯარაში – გვერდით კორპუსში ვიღაცა ბიძია ვიღაცა დეიდას ხერხავს...

– გამოდი, კაცო, დააცადე ხალხს, სექსით დაკავდეს... მოიცა, მართლა ხერხავს, ეს შობელძაღლი, პატრულში დარეკე! ჩქარა!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია" და „კვირის ქრონიკა"

ალია ≫211359457 კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212033 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში"** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
21 21 80 ან 233 20 06
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა–49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.08